645/2
1989/2

# საქართველოს ქალი

ISSN 0321—1509

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11
1989





100

დავით კაკაბაძე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე დავით კაკაბაძის ნამუშევრები.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

# ეკონომიკური დამოუკიდებლობა თუ გვინდა



ელექტროშემდუღებელი ქარხნის ეკონომისტები ხათუნა შიუკაშვილი და ნინო მარიამიძე

დავით იაკობაშვილის ფოტოები

ერთ მუჭად შეიკრა სრულიად საქართველო, ეროვნული თვითგამორკვევის სულისკვეთებამ მოიცვა იგი. უკვე რეალურად დადგა ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხი. ამისათვის ბევრს ილვწიან, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ჭეშმარიტი მამულიშვილობა მხოლოდ საქმით მტკიცდება. მხოლოდ ხმამაღალი, ემოციური სიტყვები ჩვენს ერს არას არგებს. ეროვნულ მოძრაობაში ფართოდ არის ჩაბმული ჩვენი მომავალი — ახალგაზრდობა. სწორედ მას აკისრია დიდი მისია — შექმნას დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე. ეს კი ნაღდ საქმეს, ხელის დაკაპიწებას მოითხოვს.

როგორც სტატისტიკა გვამცნობს, საქართველო ეროვნული კადრების ნაკლებობას არ განიცდის. უმაღლესდამთავრებულთა რიცხვით წინ ვუსწრებთ მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანას. მაგრამ როგორია მათი პროფესიონალიზმის დონე, შეესატყვისება თუ არა მსოფლიო სტანდარტებს? აი, ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკური განვითარება, განმტკიცება. იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ კვალიფიციურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღევანდელობის სარკეში

სპეციალისტად ჩამოყალიბების მრავალი ფაქტორი არ მოქმედებდა და სამწუხაროდ, დღესაც არ მოქმედებს. გათანაბრების მანკიერმა ტენდენციამ დააქვეითა სპეციალისტის სწრაფვა კვალიფიკაციის დონის ამაღლებისკენ. ეკონომიკური ბერკეტების (ხელფასი იქნებოდა ეს თუ მატერიალური სტიმულირების სხვა ფორმა) უმოქმედობამ მრავალი ნეგატიური მოვლენა წარმოშვა, რომლის აღმოფხვრაში ფართოდ უნდა ჩაება ყველა. ვისაც საქართველოს კეთილდღეობა უწდა. დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში. დღის წესრიგში დადგა ახალგაზრდა სპეციალისტების ეფექტიანად გამოყენების, მათთვის შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის პრობლემები. სამწუხაროდ, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს სპეციალისტების მიზნობრივ მომზადებას, არა აქვთ მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნები კადრებისადმი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ არასპეციალისტები. ცუდი მდგომარეობაა უმაღლესდამთავრებული კადრებით სოფლის, რაიონების უზრუნველყოფის მხრივაც. სოფლებს აკლიათ ექიმები, პედაგოგები, სახალხო-სამეურნეო დარგის სპეციალისტები. უფრო მეტიც, იქ გაგზავნილებს ხშირად შრომისა და ყოფაცხოვრების იმდენად ცუდი პირობები აქვთ, რომ ახალგაზრდები ან საერთოდ არ მიდი-

ლალი მიროტაძე



მანანა ნინოშვილი



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ან მალე გამორბიან უკან. ასეთ ახალგაზრდებს უნდა შევახსენოთ დიდი ილიას სიტყვები: „თუ ვინმე სოფელში გაიძახის, რომ სოფელი მოსაწყენი და უფერულია, ამის მიზეზი სოფლისა და ცხოვრების უფერულობა და მოწყენილობა კი არ არის, ‹რამედ თვით იმის სულისა და გულის უსაგნობა და უაზრობა, ვინც ამისთანებს გაიძახის".

დიახ, დღეს საქართველოს ისე, როგორც არასდროს, სჭირდება სპეციალისტები, რომლებიც აგურს-აგურზე დაადებენ სამშობლოს კეთილდღეობის ასამაღლებლად. თუ რა აზრისანი არიან თავიანთი სპეციალობის, პროფესიონალიზმის შესახებ, ამისათვის სასაუბროდ მოვიწვიეთ ოთხი ახალგაზრდა, რომლებმაც უმაღლესი სულ ახლახანს დაამთავრეს და საქმესაც შეუდგნენ. მათ ჯერ თითქმის მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნიათ, მაგრამ ერთით გამოირჩევიან: უყვართ თავიანთი საქმე. ეს კი პროფესიონალიზმის დონის ამაღლების საწინდარია.

მანანა სისოშვილმა შარშან წარმატებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. წითელწყაროში გაანაწილეს. თბილისელი გოგონასათვის იოლი როდი იყო მშობლიური ქალაქის დატოვება, მაგრამ მამულიშვილურმა გრძნობამ უკარნახა წასულიყო იქ, სადაც საჭირო იყო. წითელწყაროს რაიონის პოლიკლინიკაში კარდიოლოგად დაიწყო მუშაობა. ახლად შექმნილი ოჯახი აქვს, მეუღლეც ექიმია, ჰყავთ პატარა გოგონაც, რომელიც დიდ ზრუნვას მოითხოვს.

— ჩემი კურსელებიდან თითქმის უმეტესობა თბილისში დარჩა, — თქვა მანანამ, — ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არ მუშაობს, ელოდება ადგილის გამოჩენას, არადა საქართველოში ძალიან ბევრი რაიონი თუ სოფელი უექიმოდ არის. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, სოფლებში სამედიცინო სფეროში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კარგი რომ იყოს, სპეციალისტები თავიანთ რაიონებში დაბრუნებას თავს არ აარიდებდნენ.

ვერ შეედავები მანანას, ახალგაზრდა სპეციალისტი ესწრაფვის თანამედროვე აპარატურა-დანადგარებით აღჭურვილი საავადმყოფო-პოლიკლინიკაში იმუშაოს. თუ სათანადო პირობები არ არის, პროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია. შეუფერებელი შენობა-ნაგებობანი, თანამედროვე სამკურნალო და სადიაგნოსტიკო აპარატურის უქონლობა გულს უტეხს ახალგაზრდა სპეციალისტს.

— მომავალი ექიმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სად მოუწევს ინტერნატურის გავლა, — ამბობს მანანა, — პირველ ხანებში ავადმყოფები თითქოს გვერდს მივლიდნენ, ვეცადე მათთვის გულისყური არ დამეკლო, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, ელექტროკარდიოგრამის გარდა პოლიკლინიკაში სხვა აპარატურა არა აქვთ, თითოეულ ავადმყოფს კი ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და, რაც მთავარია, შენი საქმე უნდა გიყვარდეს, იცოდე ისე, რომ არ გამძიმებდეს და არ გღლიდეს. თუ საჭიროა, დროის შეგრძნებაც უნდა მოიშორო თავიდან. რადგან ეს ავადმყოფებს სჭირდება. უამისოდ პროფესიონალიზმი არ გამომუშავდება. ყოველი განკურნებული ავადმყოფი ექიმის სიხარულია.

მანანამ იცოდა სიძნელეები შეხვდებოდა, მაგრამ არ შეუშინდა. სადაც საჭირო ვარ, იქ უნდა ვიყოო, — ამბობს. ეშურება კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიაროს. ეს მიაჩნია დაოსტატების ერთ-ერთ გზად. მართლაც, რაიონიდან ჩვენი რესპუბლიკის წამყვან კლინიკებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩასვლა ბევრს შესძენს საქმეზე შეყვარებულ მომავალ კადრებს.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებმა თვალსაჩინო გახადა, რომ სახალხო მეურნეობის სწორი გეზით წარმართვა მაღალკვალიფიციურ ეკონომისტს მოითხოვს.

ნინო მარიამიძე და ხათუნა შიუკაშვილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქელექტროშედუღებაში" ეკონომიკურ განყოფილებაში საქმიანობენ, ახალგაზრდა ეკონომისტები არიან. ნინო გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო ანალიზის საკითხებზე მუშაობს, ხათუნა კი — ახალი ტექნიკის ათვისების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხებზე.

ნინო მარიამიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ამ საწარმოში გაანაწილეს, მანამდე კი, სტუდენტობის პერიოდში, უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის არსებულ სახელშეკრულებო თემაზე მუშაობდა. საერთოდ ამ საწარმოს ძალიან კარგი გამოცდილება აქვს: წარჩინებულ სტუდენტებს უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე თვითონ არჩევს.

ნინო უკვე მერვე წელია ამ საწარმოში მუშაობს. მან დაუსწრებლად დაამთავრა ასპირანტურა, მის მიერ მოწყობილი საწარმოს ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე მრავალი საგულისხმო ამოცანა დაისახა. სახელდობრ, შემუშავდა კონკრეტული ეკონომიკური ღონისძიებანი მასალატევადობის, შრომისა და მატერიალური დანახარჯების, თვითღირებულების შესამცირებლად.

— პროფესიონალიზმის დაუფლებისათვის აუცილებელია უმაღლესში სწავლების პერიოდში საწარმოსთან მჭიდრო კავშირი, — აღნიშნა ნინომ, — მე ჩემი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად დიდად შემიწყო ხელი იმან, რომ სტუდენტობის წლებში ვმუშაობდი უნივერსიტეტისა და საწარმოს შორის დადებულ სახელშეკრულებო თემაზე.

ხათუნა შიუკაშვილმა დიპლომი ამ საწარმოს მაგალითზე დაწერა. პრაქტიკაც აქვე გაიარა, ნიჭიერი გოგონა მოეწონა საწარმოს ხელმძღვანელობას და მოითხოვა სამუშაოდ მათთან გაეგზავნათ.

— სპეციალობის შესწავლას პირველი კურსიდან უნდა დაეთმოს ყურადღება, — თქვა ხათუნამ, — საწარმოო პრაქტიკა კი მეორე კურსიდანვე უნდა დაიწყოს, სტუდენტს უნდა შეეძლოს კვირაში თუნდაც ერთხელ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად საწარმოში განიმტკიცოს.

ხათუნას, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტს, მიაჩნია, რომ პროფესიონალიზმის, განსაკუთრებით ეკონომისტის მაღალკვალიფიციურობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა თავისთავზე მუშაობა, მოწინავე გამოცდილების გაცნობა. დღევანდელობის საწიერიდან მაცქერალს მიაჩნია, რომ თითოეული საწარმოს დამოუკიდებლობა, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა.

თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში ლალი მიროტაძე ერთი წელია რაც ინჟინრად მუშაობს, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს ამოწმებს. პროდუქცია პირუთვნელად რომ შეამოწმო, თვითონ კარგად უნდა იყო დაუფლებული მისი გამოშვების ტექნოლოგიას.

— ბუნებრივია, ახალგაზრდა სპეციალისტის შემოქმედებით მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, — შენიშნა ლალიმ, — მაგრამ საკითხავია, რა ცოდნას იძლევა უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მეტად სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. დიდი გამოცდილება მომცა იმან, რომ ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი. ერთს მინდა ხაზი გავუსვა: გეგმისადმი, რაოდენობისადმი გამოდევნებამ დიდი ზიანი მიაყენა ხარისხს, პროფესიონალიზმის დონეს. გარდაქმნამ ის სიკეთე უნდა მოგვიტანოს, რომ ვიზრუნოთ ხარისხზე; რასაც გამოვუშვებთ, მსოფლიოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, ქართულ აბრეშუმს ძველი ღირსება უნდა დავუბრუნოთ.

ლალი გაერთიანებაში ახალგაზრდული შემოქმედებითი საკონსტრუქტორო ბიუროს ჩამოყალიბების ერთ-ერთი თაოსანია. ბიუროს მიზანია იმუშაოს ახალი ტექნოლოგიური რეჟიმების დანერგვის, ახალი მანქანა-დანადგარების ათვისებისა და მოდური ქსოვილების შექმნისათვის, ეს კი მაღალ პროფესიონალიზმს საჭიროებს. იცის ეს ლალიმ და გულმოდგინედ ეცნობა სხვადასხვა მოწინავე საწარმოების მიღწევებს, გამოცდილებას.

დღეს, როცა რეალურად დადგა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხი, ახალგაზრდობას, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მომავალ ბატონპატრონს, მეტი მეცნიერული ცოდნა და შემოქმედებითი შემართება მართებს. რა საქმესაც მოეკიდებიან, დიდი პასუხისმგებლობით და მაღალი პროფესიონალიზმით უნდა გააკეთონ, თორემ სხვაგვარად ფუჭ ლაპარაკად დარჩება ის ეროვნული თვითგამორკვევა, რამაც მოიცვა სრულიად საქართველო.

რუსუდან გრიგოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინაიდა კვაჭაძე,
საქართველოს სსრ ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# ქალთა საბჭოების პოზიცია მომავალ სახალხო დეპუტატთა არჩევნებში

ჩემო ძვირფასო ქალებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, მომავალი წლის დამდეგს უფლებამოსილების ვადა უთავდებათ რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატებს. ამჟამად რესპუბლიკაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონებში ცვლილებათა შეტანისათვის. ეს ცვლილებები ნაკარნახევია თანამედროვე სიტუაციით, სპეციფიკური ადგილობრივი პირობებით, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგებით, ბევრი ცნების ახლებური გაგებით, რომლებიც განვლილი საარჩევნო კამპანიების დროს შეურყეველი გვეგონა. სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებით მწვავედ განიხილება არჩევნების დებულების პროექტის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ასარჩევ სახალხო დეპუტატებზე. ზოგიერთმა რესპუბლიკებმა თავიანთ კანონპროექტებში შეინარჩუნეს დებულება არჩევნებისა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. ჩვენს რესპუბლიკაში კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიამ, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს, უარყვეს ეს პრინციპი. მესამენი მომხრე არიან შენარჩუნებულ იქნას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, მაგრამ არჩევნები მოეწყოს სპეციალური ოლქების მიხედვით. საბოლოო სიტყვა რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს ეკუთვნის.

ქალთა საბჭოები უნდა გახდნენ ქალთა შორის კანონპროექტების განხილვის, ხოლო უმაღლესი საბჭოს მიერ მისი მიღების შემდეგ განმარტების ინიციატორები, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მთლიანად კანონთა პროექტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათ შორის ქალთა საბჭოებისაგან არჩევნების საკითხებისადმი. ეს ქალებს დაეხმარება უფრო შეგნებულად ჩაებნენ საარჩევნო კამპანიაში, უფრო ენერგიულად და ორგანიზებულად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ რეფორმაში.

როგორც იცით, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგად ქალებმა მანდატების თითქმის ნახევარი დაკარგეს სსრ კავშირის წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან შედარებით. იგივეა ჩვენ რესპუბლიკაშიც. საჭიროა ასეთი შედეგების გამომწვევი მიზეზების ყოველმხრივი გაანალიზება. როგორ მოხდა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად ცოტა ქალები გაატარეს რეგისტრაციაში? როგორ მოხდა, რომ ყველა დონის ქალთა საბჭოებმა (საწარმოებისა იქნება თუ რესპუბლიკური) პრაქტიკულად არ დაასახელეს არც ერთი დეპუტატი ტერიტორიული თუ ეროვნულ-ტერიტორიული ოლქებიდან? ანდა, დეპუტატობის კანდიდატმა ქალებმა ღირსეული კონკურენცია რატომ არ გაუწიეს კაცებს საარჩევნო კამპანიაში? ამომრჩეველ ქალთა უმრავლესობამ თავიანთი ხმა რატომ მისცა კაც დეპუტატობის კანდიდატებს და არა ქალებს. ქალ კანდიდატთა მხარდამჭერი ჯგუფები რატომ აღმოჩნდნენ უფრო სუსტნი და ვერ შესძლეს თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ მიემხროთ ამომრჩეველთა უმრავლესობა.

ეს და ბევრი სხვა საკითხი ღრმად და ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ, გულახდილი პასუხი გავცეთ და, რაც მთავარია, გაკვეთილად გამოვიყენოთ მომავალ საარჩევნო კამპანიაში.

ქალთა საბჭოები სერიოზულად უნდა მოემზადონ თავიანთი კანდიდატების დასასახელებლად. და აქედანვე უნდა დავინტერესდეთ: „ვინ იქნებიან ჩვენი კანდიდატები?" სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების, უმაღლესი საბჭოს პირველი ყრილობისა და სესიების გამოცდილება გვიკარნახებს, თუ რა კრიტერიუმებით უნდა ვაწარმოოთ კანდიდატთა შერჩევა, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მათ. დარწმუნებული ვართ, რომ ბევრია საუკეთესო თვისებებით აღჭურვილი ქალი. ამის მაგალითად მარტო 9 აპრილის ტრაგედიაც გამოდგებოდა და ის ჭეშმარიტად სამართლიანი ეროვნული მამულიშვილური პოზიცია, რომელიც ქალების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაიჭირა ამ დროს. განა ჩვენმა სახელოვანმა ქალებმა, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრებმა ცოტა გააკეთეს ამ ტრაგედიის შეფასებისა თუ მისი გამომწვევი მიზეზების კვლევის საქმეში? ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ სწორედ ასეთი ქალები, გავიგოთ როგორ მუშაობენ და ცხოვრობენ ისინი, ბევრი იცნობს კიდეც მათ პირადად, მათ ცხოვრებისეულ პოზიციას, რა უნდა ვაკეთოთ, რომ გაფართოვდეს იმ ადამიანთა წრე, რომლებიც მხარს დაუჭერენ ქალთა საბჭოებისაგან წამოსაყენებელ დეპუტატობის კანდიდატებს, მზად არიან თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხარში ამოუდგნენ ქალთა საბჭოებს ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს პრაქტიკული საქმეებით. რაც უნდა აისახოს ქალთა საბჭოს მიერ მიღებული მოქმედების კონკრეტულ პროგრამაში. ამის განხორციელებისათვის მარტო ქალთა შორის როდი უნდა ვიმუშაოთ. ფართო აგიტაცია უნდა გავწიოთ საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველთან. უეჭველია, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება თვით კანდიდატზე, და უწინარეს ყოვლისა, მის პროგრამაზე. რამდენადაც პერსპექტიული და ამავე დროს, დარგის სპეციალისტი, ჰუმანური იქნება იგი, იმდენად უფრო დაუჭერენ მას მხარს მისი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები. აუცილებელია ქალთა საბჭო დეპუტატობის კანდიდატს დაეხმაროს პროგრამის ჩამოყალიბებაშიც.

რაკი ქალთა საბჭოები ყველაზე უფრო მეტად არიან დაინტერესებული, რომ უახლოეს დროში გადაიჭრას ქალთა შრომისა და ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემები, საჭიროა მათ ფართო მასებს გააცნონ ის მოთხოვნები, რომლებსაც ისინი უყენებენ დეპუტატ კაცებს. არაერთხელ ითქვა ყველა დონეზე და ყველა ტრიბუნიდან, რომ ქალთა საკითხი მარტო თვით ქალების პრობლემა როდია. ეს მთელი ჩვენი საზოგადოების პრობლემაა და ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ: კაცი იქნება დეპუტატი თუ ქალი? როგორ ესმით „ქალთა პრობლემები" მომავალ დეპუტატ კაცებს? რომელ პრობლემას შეიტანენ თავიანთ საარჩევნო პროგრამაში? როგორ ფიქრობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას? ამასთან დაკავშირებით პრაქტიკულად რის განხორციელება აქვთ გამიზნული პირველ რიგში. სახალხო დეპუტატობის კანდიდატებთან

არც ერთი შეხვედრა არ უნდა გაიმართოს ისე (მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის იგი წამოყენებული), თუ არ გაირკვევა კანდიდატის პოზიცია — ქალთა პრობლემის მისეული გაგება. ქალთა საბჭოებმა წინა საარჩევნო შეხვედრებში უნდა მოახდინონ ქალთა აქტივის მონაწილეობის კოორდინაცია, მიაღწიონ საარჩევნო კამპანიაში მათ დიდ აქტიურობას.

ამა თუ იმ კანდიდატისათვის ხმის მიცემისას ქალები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ხმას აძლევენ საბჭოთა ხელისუფლებას, დემოკრატიას, სოციალურ განახლებას, საბჭოთა ადამიანების — კაცებისა და ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ცხოვრების გაუმჯობესებას.

უდიდესი იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის გაწევა მოელით ქალთა საბჭოებს. დრო კი ძალზე ცოტა დარჩა. არც ერთი დღის დაკარგვა აღარ შეიძლება! ყოველივე ამის შესახებ, ჩვენ წერილით მივმართეთ ქალთა საბჭოებს. იმედი გვაქვს მათ მხარში ამოუდგებიან პარტიული, საბჭოთა ორგანოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

წარმატებებს ვუსურვებ ქალთა საბჭოებს ამ უაღრესად დიდ, კეთილშობილურ საქმეში!

---

რთველი—89



# სეტყვისგან გაწყვეტილი მტევანი

ნარკვევი

მევენახე. ამ სიტყვის გაგონებაზე თვალწინ წარმოგვიდგებოდა ხოლმე ჯმუხი, ჯანღონით სავსე კაცი. თითქმის ისეთი, როგორიც გიორგი მახარაშვილი იყო, ალბათ იმიტომ, რომ დასაბამიდან მხოლოდ კაცი პატრონობდა ვაზს. მან იცოდა მისი ავანჩავანი და ყადრი. კაცი იყო დღენიადაგ ვაზთან. შვილივით ზრდიდა და ეთაყვანებოდა მას.

შემოდგომაზე კი ერთად ხარობდა ვაზი და მეზვრე. როცა მტევანს ქარვის ფერი დაედებოდა და დამკრახდებოდა, კაცს უნდა გაეცა „ბრძანება" — მოვირთვლოთო... ვენახს შეესეოდა დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი და კუმსი მტევნებით ივსებოდა გოდრები. ეს იყო და ეს — ქალის შრომა ვენახში.

დღეს კი, როცა მევენახეს გავიგონებთ,

უკვე ქალიც უნდა წარმოვიდგინოთ, ოჯახსა და ვენახზე თითქმის ერთნაირად რომ ზრუნავს.

მევენახე დედა საკმაოდ მომრავლდა საქართველოში. ამჯერად ნადია ნაკვეთაურზე და მის თანამოსაქმე ქალებზე გვექნება საუბარი.

ნადია ნაკვეთაური ზემო ალვანში ცხოვრობს. თეატრალური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მოვიდა ამ სოფელში. მოვიდა თავისი სურვილით, როცა იგი თანაკურსელის, აბრამ ნაკვეთაურის მეუღლე გახდა...

ნადიამ რამდენჯერმე მიაკითხა ახმეტის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას, სურვილი ჰქონდა თავის პროფესიას გაჰყოლოდა, მაგრამ ვერა და ვერ მიაღწია სანადელს.

უქმად ვერ გავჩერდებიო, — გამოაცხადა ნადიამ ოჯახში, თოხი აიღო ხელში და პირველად სამუშაოდ ჭარხლის ნათესებში გავიდა. შემდეგ კი ქალებთან ერთად ვენახში მუშაობა გადაწყვიტა.

ბრიგადირმა სიმონ არენდაულმა ვაზის გასხვლა ასწავლა. აუხსნა, რომელი იყო სამამულე, რომელი სანეკე და რომელი კიდევ ზედმეტი, მოსაჭრელი ყლორტი. ისიც უთხრა, სამამულეს 7-8 კვირტი დაუტოვე, ნეკს — ორი ან სამიო. მერე ვაზის სასხლავი მაკრატელი გადასცა და თან დასძინა:

— მშვიდობაში მოგახმაროს ღმერთმა. არ დაგიმალავ, ერთ ხანს გაგიჭირდება, მაგრამ არ შეშინდე, ცოტა თავს ძალა დაატანე და მერე ეს დალოცვილი ვაზი ისე შეგაყვარებს თავს, რომ გვერდიდან ველარ მოცილდებიო.

ბრიგადირმა ახლა სხვა მსხვლელები მოინახულა. ირგვლივ მაკრატლის ტკაცუნი ისმოდა. მან მათს ნახელავსაც ახედდახედა და დაბალი ხმით თქვა:

— ე სიფრიფანა გოგო ალბათ ორიოდე დღის შემდეგ თვალით აღარ დაგვენახვება. ვერ შეძლებს, მაგის სალამურივით მაჯები ვენახს ვერ მოერევა. ვის გვერდითაც მოხვდება, დრო და დრო ხელი წააშველეთ. ვარაუდი გაუწიეთ, ემანდ, სამამულეები არ გაგვიოხროს.

— ჯერ ერთი, გოგო კი არა, ქალბატონი გახლავთ, — თქვა ვიღაცამ და საერთო სიცილი დააყარეს ბრიგადირს.

— რაში გვჭირდება შენი ჭკუაზე დარიგება, შენს უთქმელადაც არაფერს გავუჭირვებდით, — დასძინა მეორემ და სხვებმაც კვერი დაუკრეს.

ბრიგადირს ალარაფერი უთქვამს, უკან გამობრუნდა, ისევ ახალბედა მევენახეს ჩამოუარა.

— ვაი თუ, ნახელავი დამიწუნოს, — გაიფიქრა ნადიამ თავისთვის და გულისცემა აუჩქარდა. ხან გასხლულ ვაზებს უმზერდა და ხან ბრიგადირს.

— კარგია, კარგია, მომწონს, — ყოველ ვაზს ათვალიერებდა ბრიგადირი, — აი, აქ კი რვა კვირტზე მეტი დაგიტოვებია, ეს კიდევ ხუთზე გადაგიჭრია — ხელით უჩვენა მან ღვინისფერი სამამულე.

— რა მექნა, თუ ხუთი კვირტის ზემოთ გადატეხილი იყო. ის კი, ღონიერი ვაზია. მაგისთვის ათ კვირტიანი სამამულე დიდი ტვირთი არ არის. აკი მითხარით, ძლიერი ვაზი დატვირთეო, — მოკრძალებით უპასუხა ნადიამ ბრიგადირს და თან ბაგეები უთრთოდა, ცოტაც და აქვითინდებოდა.

— მართალი ხარ, მართალი, — უთხრა ბრიგადირმა და გასცილდა.

ნადიამ გასხვლა განაგრძო. ერთ-ერთ ვაზს სამი ძლიერი სამამულე ჰქონდა და შეყოყმანდა, მოსაჭრელად არც ერთი არ ემეტებოდა, მაგრამ ბრიგადირის სიტყვები გაახსენდა, ერთ ვაზს ორ რქაზე მეტი არ დაუტოვო, თორემ „მოიწველებაო"...

მაინც აქვითინდა იგი. თხელ სანთლისფერ სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა იმიტომ კი არა, რომ დაიღალა, მხოლოდ იმისათვის, ვაი, თუ, გასხლული დამიწუნონო. ნადია და ვაზები ცრემლებად იღვრებოდნენ.

— მე კი ვიცი რა მჭირს. თქვენ? თქვენ რა გატირებთ? რაზე ან ვისთვის ღვრით მაგ უმანკო ცრემლებს?

— . . .

— ალბათ ჭრილობა გტკივათ, რა ვქნა, რა გიშველოთ, გამჩენს ასე დაუწესებია.

— ?!

— აბა რა ვიფიქრო? მაშინ, სამამულო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულებისა და უპატრონო მიცვალებულებისათვის ღვრიდით მაგ ცრემლებს. იტირეთ, იტირეთ, მადლია მათთვის.

ჩურჩულებდა ნადია და დროდადრო ჭრელი თავსაფრის ბოლოთი თვალებს იმშრალებდა.

ერთხელაც თავი რომ ასწია, დაინახა, სხვებს ვაზის მწკრივები უკვე გაესხლათ, ახლა მას ეხმარებოდნენ. ნადიას შერცხვა და ხელს აუჩქარა...

ასე გაიცნეს ერთმანეთი ვაზებმა და სიფრიფანა ქალმა. გადიოდა დრო და უფრო დამეგობრდნენ ისინი. ნადიამ თანდათან ისწავლა ვაზის მოვლა და პატრონობა. ამას სხვებიც ამჩნევდნენ და ამბობდნენ კიდეც.

ერთხელ რაიონიდან მთავარი აგრონომი ჩამოვიდა და ნადიას შრომის შედეგებით დაინტერესდა. ვენახშიც ეწვია მას. ნადია გამოცდილი მევენახესავით ხმარობდა მაკრატელს. არც სამამულის შერჩევა უჭირდა და არც ნეკისა. და მაშინღა შეჩერდა, როცა უცხო სტუმარი შენიშნა.

სტუმარმა მოუწონა ნადიას ნახელავი და წასვლისას ვაზის ახალ სასხლავს შეპირდა. შენ გამოცდილი მევენახე ყოფილხარ და უკეთეს ვერაფერს შეგპირდებიო.

— გაიგონეთ? ხომ გაიგონეთ! რა მითხრა, გამოცდილი მევენახე ხარო, — ესაუბრებოდა იგი ვაზებს და სიხარულისგან თვალი უბრწყინავდა.

გათამამდა ახალბედა მეზვრე. იგი უფრო გაბედულად მიდიოდა ვაზთან. ყელავდა, ფურჩნიდა, ახვევდა და ძალიან გახარებული იყო მაშინ, როცა მისი ნაპატრონები ვაზები თავგამეტებით დაიხუნძლებოდნენ ხოლმე, როცა მტევნებს ნელ-ნელა ქარვის ფერი ეპარებოდა. ამ დროს მევენახე ერთგვარად ისვენებს და სართვლოდ ემზადება. თითქმის დავიწყებას ეძლევა ის დიდი შრომა და ჯაფა, რომელსაც ზოგჯერ ცივ ქარში და ზოგჯერ სიცხე-პაპანაქებაში ეწევა მეზვრე.

ნადია ნაკვეთაურმა მთელს რაიონში გაითქვა სახელი. გამოცდილი მევენახე და ბარაქიანი რთველის „დედააო" ამბობდნენ მასზე და არც სხვა საქებარ სიტყვებს იშურებდნენ მისთვის. იგი მთელ სოფელს უყვარს და მთელი სოფელი პატრონობს მას. თვალში რომ ჩაუვარდეს ვინმეს, ხელს არ აშორისვამს.

როცა მეზობლებმა დაინახეს, რომ ნადია სახლის აშენებას აპირებდა, ხელი არ გაანძრევინეს. შენ მხოლოდ სადილი მოგვიმზადეო, უთხრეს და თვითონ შეებნენ მშენებლობას. ხალხი ერთიმეორეს ეცილებოდა. ყველას უნდოდა, პატივი ეცა ამ მუყაითი მევენახისა და ერთგული მეზობლისათვის.

მართლაც და, ხუმრობა საქმე როდია, ოცი წელიწადია ზემო ალვანში ცხოვრობს ნადია ნაკვეთაური და 16 წელია ვენახში შრომობს. თუ ცით მშვიდობაა, ყველამ იცის, რომ იგი ორმაგ მოსავალს მიიღებს.

შარშან მან ჰექტარზე საშუალოდ 13 ტონა ყურძენი მოკრიფა, გეგმიური 6 ტონის ნაცვლად. ასე იყო გასულ წლებშიც. ექვსი წელია გეგმას ორმაგად ასრულებს. თანაც მარტო რაოდენობა კი არა, მის მოყვანილ ყურძენს ვერც ხარისხით დაიწუნებს ვინმე. ერთი სიტყვით, ვენახის დამუშავებასა და მოსავლის მიღებაში მამაკაცებს ტოლს არ უდებს იგი. ბევრს ეხარბება კიდეც მისი შრომის უნარი და ენერგია. ზოგი გაკვირვებით ამბობს: ამ ჩია დედაკაცს სად აქვს ამდენი ძალაო.

დიახ, სოფელი ყველაფერს ხედავს. მას არაფერი არ გამოეპარება. იგი ადამიანის უტყუარი შემფასებელი და დამფასებელია. სოფელი იყო, რომ ნადია ნაკვეთაური ერთხმად დაასახელეს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და შემდგომ ერთსულოვნად აირჩიეს კიდეც.

ვაზის მეგობარი სოფლის, ხალხის ამაგდარი მსახური გახდა და საფიქრალ-საზრუნავი კიდევ უფრო მოემატა. სულ იმის ცდაშია, რომ სოფელს იმედი გაუმართლოს, რომ მას რაღაცა შემატოს.

— მე უნდა ვიყო მაგალითის მაჩვენებელი საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. — ასე ფიქრობს ნადია და აკი პირველი ჩაება იგი იჯარულ შრომაში. მან თავის დაქალებს ურჩია, მოიჯარადრეები გავხდეთო. ერთხანს იფიქრეს, ითათბირეს და მისი წინადადება მოიწონეს. ასე და ამგვარად ნადია ნაკვეთაურმა, კანუშა ბექაურიძემ, ნაზი კალატოზიშვილმა და ლიანა ჭოტორლიშვილმა 14 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი გაიპიროვნეს და ნიშანდობლივია ისიც, რომ ბრიგადირმა გიორგი ჰაჩოშვილმა სურვილი გამოთქვა მეც ნაკვეთაურის იჯარული რგოლის წევრი ვიქნებიო.

ამ ზვარის ყოველი ვაზი მოიჯარეების ნაცნობია, რადგან თვითონ გააშენეს. თითო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეულ ვაზს მართლაც შვილივით ზრდიდნენ. წლეულს კი სხვლიდან დაწყებული ბოლო წამლობამდე ზვარს უცხო არ გააკარეს. — სხვისი გაკეთებული თვალს უშველის, გულს არაო, — ეუბნებოდნენ ისინი თუ ვინმე დახმარებას შესთავაზებდა. თუ არ ჩავთვლით მექანიზატორებს, ვენახის ყველა სამუშაო ოთხმა ქალმა და ერთმა მამაკაცმა შეასრულა.

ნადია თავად ამზადებდა ბორდოს ხსნარს. ფრთხილობდა, ვაი თუ ხსნარს ან შაბიამანი დააკლონ ან კირი და ვაზი დამიავადდებაო. ამასთანავე მკაცრად იცავდა წამლობის ვადებს და სხვა აგროწესებს. თავის დროზე ხნავდა და აფხვიერებდა ნიადაგს.

ამ დალოცვილ ვაზს ოღონდ მოეფერე, ოღონდ ნუ მოატყუილებ და შრომას ორმაგად და მეტად დაგიფასებს.

ასეც მოხდა. ნაპატიებმა ვაზმა კარგად დაიყვავილა, როცა მტევანი დაისვრიმდა და გამოიკვეთა, მაშინ კი მოიჯარეებმა წინასწარი ვარაუდით თქვეს — ჰექტარზე საშუალოდ 14 ტონა ყურძენს მივიღებთო...

სოფლის მოსავალი მაინც ამინდზეა დამოკიდებული. მოიჯარეების ზვარი სარწყავი რომ არ ყოფილიყო, მზე დაწვავდა, წლეულს მტრად რომ გადაექცა მშრომელ კაცს. მევენახეთა რგოლი ვაჟკაცურად შეებრძოლა გვალვას და დაჯაბნა კიდეც. მაგრამ ერთ დღეს მათ იმედი გაუცრუვდათ.

იმ დღეს ადრე ჩამობნელდა. ნადიამ ცას შეხედა და არ ესიამოვნა, როცა მთებიდან წამოსული ტყვიისფერი ღრუბელი შეამჩნია. ემანდ ჭექა-ქუხილი არ დაიწყოსო (ნადიას ბავშვობიდანვე ამის ეშინოდა), სახლში შევიდა.

კიდევ უფრო ჩამობნელდა. მერე საზარლად იჭექა და სახლის სახურავზე, გეგონებოდათ კენჭებს ისვრიანო, ტკაცა-ტკუცი გაისმა. მერე თანდათან მოუხშირა და შემზარავი ხმაური ატყდა.

— ვაიმე, სეტყვა, — ძლივს ამოთქვა ნადიამ და კინაღამ ჩაიკეცა.

— ვაიმე, ვენახი! წარმოთქვა შეშფოთებულმა და უაზროდ გარეთ გავარდა. უმწეოდ ტრიალებდა ეზოში და დღესაც არ იცის, რამ უბიძგა, რატომ გაიქცა ზვრისაკენ. მას ცრემლი აღრჩობდა, თავზე სამუშაო ხალათს იფარებდა და გარბოდა. (სახლიდან ვენახამდე მანძილი 500 მეტრამდეა).

ხან ერთ ვაზთან მიირბინა, ხან მეორესთან, მაგრამ რას უშველიდა. როგორ გაუმკლავდებოდა სტიქიას. მიწაზე ვაზის ფოთლები, მტევნის ნაწყვეტები და მარცვლები ეყარა. ნადია ხეს ამოფარებული მთვარეულივით იდგა, უმზერდა თვალსა და ხელს შუა როგორ იკარგებოდა მთელი წლის ნაამაგარი. გაგონილი ჰქონდა, რომ თუ გინდა ცამ გადაიკაროს, სამი ცალი სეტყვა უნდა გადაყლაპოო. მან ესეც კი სცადა, მაგრამ მტერღრუბელი თავისას აკეთებდა. უმოწყალოდ ანადგურებდა წლის მოსავალს. სანამ არ დაიცალა, იმ ოხერმა ურტყა და ურტყა ნაპატიებ და ნალოლიავებ ვაზებს მთელი წელი თავს რომ ევლებოდნენ მოიჯარეები.

ბევრმა არც იცის, რომ მათ ვენახში უთენდებოდათ, სადილობისას ცოტას შეისვენებდნენ და სანამ თვალი უჭრიდათ, ვენახიდან არ გამოდიოდნენ. პატარძალს ჰგავდნენ მოვლილი და ნაპატრონები ვაზები.

სეტყვამ ნელ-ნელა იკლო, მაგრამ გრიგალი არ ცხრებოდა. გამწარებულ ქალს ახლა თავისი სახლის მხრიდან სასოწარკვეთილი წივილ-კივილი შემოესმა და შეშფოთებული ისევ შინისაკენ გაიქცა... სულ დაავიწყდა დასეტყვილი ვენახი, როცა დაინახა, რომ გრიგალს, მეზობლის ორსართულიანი სახლისათვის სახურავი მთლიანად აეგლიჯა. კინაღამ შეიშალა, მერე ცოტა დაწყნარდა, რაკი გაიგო, რომ ამ ნგრევას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. იგი სხვებთან ერთად ეხმარებოდა კარის მეზობელს აღარ ტიროდა, ცრემლი გაუშრა. ეს პატარა ქალი მამაკაცების მხარდამხარ ტრიალებდა.

გრიგალი ჩადგა, მტერღრუბელმაც გადაიარა. დაზარალებულის ეზოდან ნელ-ნელა გაიკრიფნენ მეზობლები. ნადია თითქმის ყველაზე გვიან წავიდა შინ. დადუმებული და ილაჯგაწყვეტილი მიაბიჯებდა იგი.

## მოწოდება

იამზე ნაყოფია,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი
საბჭოს დეპუტატი.

# გავერთიანდეთ

უკვე მერამდენეჯერ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა საქართველოში! ისედაც ჭირისუფალ ერს ახალი სატკივარი გაუჩნდა, სატკივარი, რომელიც წინაპართა მიერ სისხლით, ოფლით, ცრემლით დაცული აფხაზეთის მიწა-წყალზე დატრიალებულმა ტრაგედიამ გამოიწვია. დარდს დარდი ემატება, ძაძებით იმოსებიან დედები, სიმშვიდე დაგვიკარგავს დიდსა თუ პატარას. აღშფოთებას ვერ ვმალავთ. გვტკივა ჭრილობები, რომლებსაც ცხრა აპრილიდან მოყოლებული ვერ ვიშუშებთ. ნუთუ, ქართველმა ქართველობისათვის უნდა აგოს პასუხი! ნუთუ, უსამართლობასთან ჭიდილი სამარადჟამოდ დაგვანათლა განგებამ?!

გულს არა სჯერა, რომ გუშინდელი ჩვენი ძმები — აფხაზები, რომლებთანაც ოდითგანვე კეთილი მეზობლობა, მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა გვაკავშირებდა, დღეს დაუძინებელ მტრებად გვექცნენ. სალ გონებას კითხვათა კორიანტელი არ ასვენებს. რატომ? რისთვის? ვინ აამღვრია წყალი პირადი კეთილდღეობისათვის? ვის სთავაზობს თბილ სავარძელს ძმათა სისხლი? როდემდე „იბოგინებენ“ კომუნისტის წმინდა სახელს, თანამდებობას ამოფარებული ექსტრემისტები?

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მშრომელ ადამიანს, ჩაის პლანტაციას დასტრიალებს ის თუ მშენებლობის ხარაჩოზე მუხლჩაუხრელად შრომობს, მომწამვლელი შხამი ჩააწვეთეს, მორალი შეურყვნეს, ქართველთა სიძულვილი გაუღვივეს და ჩვენს ხალხს იარაღის ზეაღმართვისათვის მოუწოდეს. თითქმის ორ თვეზე მეტია იმ ავადმოსაგონარი დღიდან, როცა ნათლად გამოაშკარავდა აფხაზთა მიერ თვეობით თუ წლობით დაგროვილი ბოღმა. იარაღთა ჟღარუნმა, ტყვიების ზუზუნმა შეძრა კეთილი ნების ადამიანები. სამართალს ითხოვს ყველა. დამნა-

არც კი უნდოდა სახლში შესვლა, რადგან იქ არავინ არ ეგულებოდა, ერთადერთი ნუგეში ჰყავდა და ისიც სამხედრო სამსახურში გააცილა. მაშინაც დიდი პატივი სცეს მეზობლებმა. ყველა უკლებლივ მოვიდა ნადიას სახლში. ყველამ დაულოცა გზა პირტიტველა ბიჭს და ახლა როგორც შინაურს, ისე ელოდებიან მის დაბრუნებას.

დაღლილ-დაქანცული და გალუმპული ქალი მაგიდასთან მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა. ფანჯრის იქით უკუნეთ ღამეში გაშტერებული იყურებოდა. უნდოდა თუ არა, მაინც იმ დღეს ნახულსა და განცდილზე ფიქრობდა.

— შენი ნუგეში ძალიან მაკლია დღეს. რა იქნებოდა გვერდით მყოლოდი. მეამაყება, შვილო, რომ სამშობლოს დამცველი გაგზარდე, მაგრამ უშენოდ ძალიან მიმძიმს. ახლა ალბათ გძინავს ჩემო დედისერთავ, ტკბილი ძილი შვილო, ტკბილი ძილი, ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი, ჩურჩულებდა თავისთვის ნადია. მერე სკამიდან წამოდგა, მთელი სხეული სტკიოდა, ძლივს მივიდა საწოლამდე, მაგრამ თვალს რული არ მიეკარა...

მეორე დღეს უთენია შეიკრიბნენ მოიჯარეები. ვენახი სასწრაფოდ უნდა შევწამლოთ, უთხრა მათ ნადიამ და ყველა ჯარასავით დატრიალდა. ვის კირი მოჰქონდა, ვის შაბიამანი. გიორგი პაჩოშვილი ღონივრად ატრიალებდა აუზში ნიჩაფს, რომ შაბი და კირი ერთმანეთში კარგად გაზავებულიყო.

ძალზე გაწვალდნენ მოიჯარეები, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს. ნასეტყვი ვენახი შეწამლეს, რომ ჯერ კიდევ უნდილ სამამულეს სეტყვისგან მიყენებული დაჟეჟილობა მოშუშებოდა, რომ ვენახში ჭრაქი არ გაჩენილიყო.

შემდეგ თითქმის მთლად შემოიარეს გაპიროვნებული ზვარი და დაადგინეს, რომ მოსავლის თითქმის 30 პროცენტი იყო დაკარგული.

— ამაზე იტყვიან სწორედ: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — დარდიანად ამოთქვა ნადიამ და მოიჯარეები შინისკენ წავიდნენ, მიდიოდნენ ჩუმად, უხალისოდ, კაცს ეგონებოდა სატირალში ყოფილანო.

ეს ოხერი დრო მართლაც რომ ყველაფრის მკურნალია. მოიჯარეებმა მაინც კარგი განწყობით დაიწყეს წლევანდელი რთველი. ყურძნით სავსე ავტომანქანები ჭრიალით გადიოდა ზვრიდან. ნადია ნაკვეთაურის იჯარულ რგოლს სტუმრები არ ელეოდა. რაიონის ხელმძღვანელობაც კი ეწვია მათ და მარჯვენა შეუქეს იჯარის წევრებს. ნადიას მარტოობა არ უგრძვნია. მხოლოდ შვილის ნახვის დიდი სურვილი აღეძრა. ერთი ვაზი ამოიჩემა. თავის ვაჟს — მარატს ამსგავსებდა. მან წლეულსაც ისე დაისხა, რომ სიმძიმისგან მავთულები დაზნიქა. კრეფის დროს, როცა „მარატს" მიუახლოვდა, ჩვეულებისამებრ მის ძირას ბელტზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა.

— დედი, როგორ შეძელი, რომ ყველა ასე პატივისცემით გეპყრობა? ჩაესმა ყურში ვაჟიშვილის ხმა.

აკი გითხარი, შრომით, შვილო. შრომა უნდა გიყვარდეს. სხვა იმედი ნუ გექნება. გახსოვდეს, მხოლოდ გარჯილობა გადაგარჩენს და გამოგიყვანს ყველა გაჭირვებიდან. იცოდე, ამ ქვეყნად, დარდი და სიხარული ერთად დადიან. თუ მუყაითი იქნები, დარდი და წუხილი შენგან ყოველთვის შორს იქნება, მფარველი ანგელოზი ყოველთვის გამოგიჩნდება...

მას შემდეგ, რაც შვილი სამხედრო სამსახურში გააცილა, ნადია ხშირად ჩამოჯდება ხოლმე ამოჩემებული ვაზის ძირას და თბილი, დედაშვილური საუბარი იმართება...

— რას აკეთებ ქალო, ლოცულობ? — სართველო განწყობილებით ჰკითხა ნადიას ლიანა ჭოტორლიშვილმა და დასძინა, — გამოკრიფე ეს მწკრივიც და ბარემ დავამთავროთ რთველი.

ნადია სწრაფად წამოდგა და ყურძნის კრეფა განაგრძო.

**როლანდ ბასილაშვილი**

---

# ღაღადი!

შავეთა დასჯა თუ შეუმსუბუქებს უდანაშაულოდ დაღუპულთა ახლობლებს დარდს.

ერთხელ კიდევ მინდა მოვაგონო ჩვენი რესპუბლიკის ხალხს საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის V პლენუმის მონაწილეების მიმართვა აფხაზეთის კომუნისტებისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ მაღალზნეობრივი და მებრძოლური თვისებები სრულად უნდა გამოავლინონ კომუნისტებმა დღეს, ახლა, როცა აუცილებელია დავძლიოთ დაბნეულობა, დავრაზმოთ მშრომელები და მთელი მოსახლეობა იმისათვის, რომ ჯეროვნად წინააღვუდგეთ პროვოკატორებს, დავიცვათ ახალგაზრდა ადამიანები არასწორი, უგუნური ნაბიჯებისაგან, ხელი შევუწყოთ საქმიანი დიალოგის საფუძველზე რთული საკითხების კონსტრუქციულად გადაწყვეტას.

აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. საჭიროა მთელი სიღრმით შევიგნოთ შექმნილი მდგომარეობის სიმწვავე. ვინც დღეს ერის სახელით ლაპარაკობს, ეროვნული ინტერესების დამცველად გვევლინება. უნდა ჩავუფიქრდეთ ამ ვითარებას.

და ბოლოს, მინდა ქართველ და კეთილისმსურველ აფხაზ დედათა ხმას შევუერთო ხმა და მოვუწოდო ორივე ერის წარმომადგენლებს, ვუხმოთ ცივ გონებას, გამოვიჩინოთ ჰუმანურობა, სიკეთე, კაცთმოყვარეობა, გავერთიანდეთ, განვამტკიცოთ და აღვადგინოთ ოდითგანვე სისხლში გამჯდარი ძმობა, გავამთელოთ „ჩატეხილი ხიდი" და კვლავაც ერთად ვიაროთ, ერთად ვიშრომოთ ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის, ჩვენი შვილების კეთილდღეობისა და ნათელი მომავლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოველები



მხატვარი კარლო ფაჩულია

# მემრი ნაგაზი

მეცხვარეებს ფარა ზამთრის საძოვრებისაკენ მიუდიოდათ. ფარაში გამეტებულად დაზურგული სახედრებიც ერია. ტალიკი მწყემსი ბიჭები მთელ გზა-ბილიკებზე ცხვრის გარდა თითქმის ვერაფერს ამჩნევდნენ და მისდევდნენ და მიერეკებოდნენ. დროდადრო კი ისინი მაინც გააცეცებდნენ ხოლმე თვალს ერთადერთი ძველი აღნაგობის ჭალიანი ურმისკენ, რომელიც მსვლელობის ბოლოში მიჭრიალებდა.

ურემზე კი რბილ თივაში უკვე სრულიად უძლური ნაგაზი იწვა. ნაგაზს უზომოდ სევდიანი თვალები ჰქონდა, მაგრამ თვალი მაინც ყურადღებით ეჭირა ჯერ სულ ახალგაზრდა ბოთვერებზე, რომლებიც ფარასთან ერთად მიძუგძუგებდნენ.

სევდიან ბებერ ნაგაზს მიაპყრო ყურადღება გზის პირზე მიყენებული ავტომანქანიდან გადმოსულმა ხნიერმა ინტელიგენტმა მამაკაცმა. — ამას მაინც რატომ-ლა აწვალებთ? — მიამიტად ჰკითხა მან ახალგაზრდა მწყემსებს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მათ ან შეკითხვა ვერ გაიგეს, ან, თუ გაიგეს, სულში რაღაცამ უკბინა.

მგზავრმა ახლაღა შეამჩნია, რომ ურმის გვერდზე ღრმად ფიქრიანი მოხუცი თეთრწვერიანი მწყემსი მიაბიჯებდა. და კიდევ კარგი, რომ შეკითხვა მასაც არ დაუყენა!

ისედაც უკვე ცხადი იყო, რომ ბებერი ნაგაზი და მოხუცი მწყემსი მიდიოდნენ თავიანთ უკანასკნელ სამწყემსურში, თავთავის მოდგმის ახალგაზრდა თაობათა დასაგეშად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცა მაღალი

ამინდმა უცებ იმრუდა.

წვიმის მსხვილი მარცვლები ძირს შეულად და ზლართანით ცვიოდა. წმინდად დაგვილი ქუჩის ასფალტი ხელად დასველდა და ნათურების შუქზე ზოლებად ალაპლაპდა. წვიმის საწრეტმა მილებმა თითქმის ერთდროული გასროლა მოახდინეს — ყელში ჩაგმანული ნაგავი სწრაფად ჩაგროვილმა და შეკუმშულმა ღვარმა შხუილით გარეთ გაანთხია. მღვრიედ ჩამოდაბლებული ცა წნეხით დააწვა ხეთა კენწეროებს და ისინიც სიმძიმის ქვეშ დაიზნიქნენ. შემდეგ ხეები აბორგდნენ, აზვირთდნენ და მთლად გადარეულნი მწარედ მოქნეული ტოტებით ერთმანეთს ეკვეთნენ. მოძმეთა შორის ულმობელი ბრძოლა შეიქმნა და მანამდე იყო უგონო ჭიდილი, ვიდრე სამოსი პირწმინდად არ შემოეფხრიწათ. ქარი მათ ატეხეს და ქარიშხალიც თვითონ მოიმკეს. შენობათშორისი ვიწრობებიდან ქუჩაზე დაგეშილი ნაგაზებივით ბუყბუყა ნიაღვრები გამოცვივდნენ. წვიმას სეტყვაც გამოერია. ახლაღა, საერთო მტრის წინაშე მოიკრიბეს აზრი ხეებმა. ისინი უმალ შეეშენენ ერთმანეთს და ერთპირ, უკვე ნაომარ გაშვლეპილ რტოებს ყინვის კენქების მოსაგერიებლადღა ასავსავებდნენ.

ერთხანს ასეთი ორომტრიალი იდგა.

ყველაფერი კი, როგორც უეცრად დაიწყო ისევე ჩაწყნარდა.

ჯერ წვიმა და სეტყვა ერთად მოისრა და ასპარეზი მარტო ქარს დარჩა. მაგრამ ქარმაც ცოტაღა იბოგინა, შემდეგ კი ქუჩის ბოლოში კუდამოძუებული გასხლტა. ხეები ისევ წელში გაიმართნენ, ასწორდნენ. მიდამო უდრტვინველმა რინდმა მოიცვა. სახლებში მხიარული შუქი აკიაფდა. თუმცა, ფანჯრებიდან სინათლე მანამდეც იღვრებოდა, მაგრამ შესამჩნევი და სასიამოვნო მხოლოდ ნაავდრალზე გახდა.

ცა კი, რადგან მთელი ქვეყნის სახურავია და არა ერთი რომელიმე ქუჩისა, კვლავ ამაღლდა და მთელ უკიდეგანო სივრცეს გადაეფარა.

# ფეხსაცმლის მწმენდავი

ომის დროს...

ფრონტიდან ორდლიანი შვებულებით მოულოდნელად ჩამოსულმა უმცროსმა ლეტენანტმა — ლეიტენანტმა, როგორც კი დედა ჩამოჰკოცნა და აცრემლა, მეზობლებსაც შეეხმიანა; ყველა სიხარულით აафორიაქა და თვითონაც იხილა, მოულოდნელადვე გარეთ გაიჭრა, ისე მონატრებოდა და მოსწყურებოდა საყვარელი ქუჩები, რომელთაც რამდენიმე თვის წინ მეგობრებივით დანანებით დაემშვიდობა.

ტანმორჩილი იყო, მაგრამ მაინც კოხტა, ლაზათიანი, ულვაშგანკეპილი და თმაქოჩორა, ფართე მკერდს გვარდიელის ნიშანი, წითელი ვარსკვლავის ორდენი და ორიც მედალი უმშვენებდა. მაინც რომ პენი მიჰმატებოდა, ქუჩაში გასვლისთანავე ფეხსაცმლის მწმენდავის ტახტრევანზე დაბრძანდა და ცამეტიოდე წლის მოწყენილ ბიჭს ჩექმები მიუშვირა.

ბიჭი უცებ გამოცოცხლდა, უდიდეს პატივად მიიღო ომის დროს სამხედრო კაცისათვის, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ახალგაზრდა ოფიცერისათვის სამსახურის გაწევა და უჯრიდან უხმარი ჯაგრისები და გაუხსნელი კოლოფები ამოალაგა. მკლავები საგულისგულოდ აიკაპიწა და საქმეს საგანგებო მონიწებით შეუდგა.

უნდოდა, ესოდენ განსაკუთრებული პატივისცემით დახვედრის გამო, ოფიცრის ყურადღება დაემსახურებინა, მაგრამ იმას ბიჭისთვის არ ეცალა, ხარბად და სიყვარულით აცეცებდა თვალებს მიდამოზე და თან გამვლელ-გამომვლელთა შორის ნაცნობის აღმოჩენას ნატრობდა.

ბიჭს კი საქმე გაუგრძელდა და ბოლოსდაბოლოს ოფიცერი იძულებული გახდა მისთვისაც დაეხედა. დახედა და მისი თმამოხშირებული კეფისა და მარდად მოძრავი ხელების გარდა ვერაფერი დაინახა. ჩექმები უკვე სარკესავით კრიალებდა, ოღონდ მოულოდნელად მათ რაღაც დაეწვეთა, ბიჭის ხელებმაც მარდად იმ სისველეს უტიეს ხავერდის ნაჭრით, გაგლისეს, გაამშრალეს, კვლავ სანიმუშოდ გაკრიალდა ჩექმები; მაგრამ კვლავ რაღაც დაეწვეთა მათ, პატარა ხელებმაც ერთხელაც გააქრეს ისინი, მაგრამ ახალმა წვეთებმაც არ დააყოვნეს გაჩენა.

ოფიცერმა რაღაც იაზრა, ხელის ორი თითით ფრთხილად ნიკაპი აუწია ნორჩ მშრომელს და მთლად ცრემლით სავსე თვალები დაიპირისპირა.

ბიჭი დანაშაულზე წასწრებულივით იყო და ვერაფერს ამბობდა, ხოლო ვერც ოფიცერს უბრუნდებოდა პირში ენა. მიხვდა კი, ომიანობას ამ პატარა არსებისთვისაც გაეჩინა დარდი და ისღა მოახერხა, უჩუმრად სამმანეთიანი ჩაუჩარა გულის ჯიბეში.

—არა, არა, ძია, — მაშინღა შეჰღაღადა ბიჭმა და ის ფული უმალ ისევ ოფიცრის ხელში მოაქცია, თან თითქოს კვნესაც ამოატანა, — ჩემი ძმაც ფრონტზეა, ძია.

ყმაწვილკაცს, გულად ახალგაზრდა ოფიცერს ყელში რაღაც ამოეჩარა და სული შეუგუბდა. ბიჭს ალერსით თავზე ხელი გადაუსვა და ტახტრევანიდან მოწყენილი გადმოვიდა.

— მეც ხვალვე ისევ მივალ იქ, ბიჭუნი.

ბიჭუნას შერცხვა და შეშფოთდა, ვაი თუ მიყვედრებად ჩამითვალა, ძმა რომ ვუხსენეო, შენ აქ ჩამობრძანებულხარ და ის კი იქ, ვინ იცის რა დღეშიაო.

ვეღარც ვერაფერი მოასწრო ნათქვამის გასაქარწყლებლად. ოფიცერი კარგა მანძილზე გაშორებოდა, თუმც წელანდელივით ხალისიანად არ მიაბიჯებდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს. თან თითქოსდა, სწორედ ახლა არ შეეფერებოდა მას მაინცდამაინც გაკრიალებული ჩექმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიყვარული მეგზურად მიჰყვება

ეს თეთრი თიხა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიტანეს. შიგ დარკვეთის კვარცის ქვიშა გაურიეს, მერე აზილეს, სული შთაბერეს და ლამაზ სურებად, დიდმუცელა დოქებად, ყელყარყარა ლარნაკებად, კოხტა ჯამფიალებად, სალვინეებად, ჩაფებად, აზარფეშებად, ხელადებად, ჭინჭილებად აამღერეს.

დღეს თბილისელ კერამიკოსთა ნახელავი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწონებს თავს, ქართულ სულსა და ხასიათზე, სიფაქიზესა და სილაღეზე მოუთხრობს ჩვენს მტერ-მოყვარეს.

ქართული კერამიკისადმი ინტერესი საზღვარგარეთ თანდათან იზრდება. ბოლო დროს ჩვენებურ ნახელავს განსაკუთრებული ყურადღება ჩეხოსლოვაკელებმა მოაპყრეს. მათ შარშან ხელშეკრულება დადეს თბილისის კერამიკულ კომბინატთან და აქ დამზადებული სასმისი „ქინძმარაული“, ჭინჭილა „ალავერდი“, ლიქიორის სასმისი „სამაისო“, დოქი „ხევსურული“, ვაზა „ლილე“ და კიდევ მრავალი სხვა დასახელების ნაკეთობა ჩეხოსლოვაკიის ათ ქალაქში იგზავნება.

მხატვრული კერამიკის ნაწარმის საამქროში მეგზურობას ტექნოლოგი ზაირა გოგოლაძე გვიწევს.

საჩამომსხმელო უბანი... სამუშაო მაგიდებს შემოსხდომიან საწარმოს მოწინავე მუშები: მაყვალა არჩვაძე, მაყვალა ფილიშვილი, ნელი დომუზაშვილი, ლენა როსტომაშვილი. თითოეულს თეთრი მასით სავსე ჭურჭელი უდგას წინ, რომელსაც სპეციალურ ყალიბებში ასხამენ. იქვე, თაროებზე ჩაუმწკრივებიათ სველი, ყალიბიდან ახლად ამოღებული სურები და საყვავილეები.

საჩამომსხმელო უბნიდან მოჭიქურების უბნისაკენ ვინაცვლებთ. უზარმაზარ ღუმელში, სართულებად შეულაგებიათ გამოსაწვავად გამზადებული ნაკეთობანი. იქვე, მის მახლობლად კი მომჭიქურებლები უკვე გამომწვარ საყვავილეებსა და ჯამ-ჭურჭელს ავლებენ ჭიქურში. მათი უმრავლესობა შიგნიდან თეთრად იფერება, გარედან კი ზოგი შავია, ზოგი ყავისფერი, ლურჯი ან ცისფერი.

ყველაზე საინტერესო სამუშაო მაინც მხატვარ-შემსრულებლებს უნდა ჰქონდეთ. მათ ხელში სულ უბრალო, შეუმჩნეველი პატარა ფიალაც კი საოცრად იცვლის იერსახეს.

ნანა კაპანაძის სამუშაო ადგილისაკენ მივდივართ. მაგიდაზე ყავის სერვიზი „ნონაა“, ოღონდ ისეთი ლამაზი და წითლად მოწინწკლული კი არა, მაღაზიის დახლებზე რომ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ეს „ნონა“ შედარებით შეუხედავია, მაგრამ საკმარისია ნანას ფუნჯის შეხება და საოცრად ლამაზდება და მშვენდება.

მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შეაყვარეს ნანა კაპანაძეს თავისი პროფესია და, აგერ უკვე მეთერთმეტე წელიწადია, აქ მუშაობს. კერამიკის მოხატვაში ნანას არ ჩამორჩება მხატვარ-შემსრულებელი დალი კოკოლაშვილიც.

დამხარისხებელ უბანზე ჭალარა-

თმიანი ქალი ლილი ხუცურაული დაგვხვდა. — ეხ, სად მქონდა ჭაღარა, პირველად აქ რომ მოვედი, — ამბობს იგი. მას თვალსა და ხელს შუა შემოადნა 25 წელიწადი, სანაცვლოდ კი პატიოსანი მშრომელი ქალის სახელი მოიხვეჭა.

არც ერთი წუნი, არც ერთი ხინჯი არ გამოეპარებათ დამხარისხებლებს ლილი ხუცურაულსა და ნანული შარუმოვას. სწორედ მათზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ პროდუქციას მიიღებს მომხმარებელი.

საამქროს ბოლო უბანს მივადექით. ალბათ, დაგვეთანხმებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად შეფუთვას. ლამაზად შეფუთული საქონელი ხომ უფრო ახარებს თვალსა და გულს, მყიდველსაც იზიდავს და დახლებიდანაც უფრო მალე ქრება. ამ საქმეს გამოცდილი მფუთავები ციალა კიკვაძე და ზოია ხარებავა ემსახურებიან.

ციფრობრივ მაჩვენებლებს თუ მოვიშველიებთ, ისინი უდაოდ კერამიკოსთა წარმატებებზე მეტყველებს. შარშან ამ უბნის მშრომელებმა გეგმით გათვალისწინებული 447 ათასი მანეთის ნაცვლად 475 ათასი მანეთის საქონელი შეფუთეს. აქედან 60 ათასი მანეთის საქონელი ჩეხოსლოვაკელი მომხმარებლისათვის გაითვალისწინეს.

საამქროში 40 დასახელების პროდუქცია მზადდება. აქედან 16 საზღვარგარეთ იგზავნება.

კერამიკოსებმა ათამდე ახალი სახეობის პროდუქცია აითვისეს. მალე მაღაზიებში გამოჩნდება მათ მიერ დამზადებული ლარნაკი „ნათია“, სერვიზი „მანანა“, სასალათე, ყვავილების ლარნაკი და სხვა.

ვფიქრობთ, მომხმარებელს განსაკუთრებით მოეწონება სერვიზი „მანანა“, რომელსაც შარშან საკავშირო სამხატვრო საბჭომ მესამე პრემია მიანიჭა.

წარმატებები და ჯილდოები არ უკვირთ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს. მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოიწონეს კომბინატის მხატვრის ნიკოლოზ ლუარსაბიშვილის ლიქიორის სასმისი „სამაისო“, რისთვისაც ბრინჯაოს მედლითა და ავტომანქანა „მოსკვიჩით“ დააჯილდოვეს.

საკუთარი გულის ნაწილს აქსოვენ თბილისელი კერამიკოსები თავიანთ ნახელავს. მათი სითბო და სიყვარული მიჰყვება მეგზურად აქაურ დოქებსა და ჩაფებს, საყვავილეებსა და ლარნაკებს.

**რუსუდან ნათენაძე**

დავით კაკაბაძე—100

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოქმედის უკვდავება

რაც დრო გადის, დავით კაკაბაძე სულ უფრო მეტ უკვდავებას იხვეჭს. ეს განაპირობა მისმა შემოქმედებამ, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში.

დიდი მხატვარი დაიბადა ასი წლის წინ, ხონის რაიონის სოფელ კუხში. მან დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და 1910 წელს გაემგზავრა პეტერბურგში. ნიჭიერი ახალგაზრდა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე მოეწყო, მეცადინეობდა მხატვარ ლ. დიმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში, სადაც გაეცნო რუსული და დასავლეთევროპული მხატვრობის მიმდინარეობებს. 1912 წელს, როგორც მისი მეგობარი კ. მ. ზდანევიჩი წერს, დავითმა ზაფხულის არდადეგები გაატარა სოფელ კუხში და ამ დროს შექმნა თავისი პირველი სერიოზული ეტიუდები მშობლიურ იმერეთის ნატურიდან. 1913 წელს მიეკუთვნება ნახატები — „მეგობრის პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი სარკესთან“, „ავტოპორტრეტი ბროწეულებით“, „კუბიზმის გამოცდილება“, რაც ბევრისათვის იყო ძალზე საინტერესო, ტექნიკითაც და ნატურის აღქმითაც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწარმოებთა მოულოდნელი აღმოჩენა. 1914 წელს დაასრულა მხატვარმა დედის, ხოლო 1915 წელს — ძმის პორტრეტები. პეტერბურგში დავით კაკაბაძე 1918 წლამდე დარჩა, 1918-1919 წლები კი საქართველოში გაატარა და ჩამოყალიბდა როგორც თავისებური სახის მქონე შემოქმედი. ადრინდელი პეიზაჟისაგან განსხვავებით მან შექმნა ისეთი პეიზაჟები, რომლებშიც მოცემული იყო იმერეთის ბუნების განზოგადოებული ასახვა. 1918 წელს მიეკუთვნება მხატვრის „იმერეთი — დედაჩემი“, სადაც იმერეთის პეიზაჟის ფონზე წარმოდგენილია მოხუცი ქალის ალეგორიული ფიგურა. ამას მოჰყვა მისი, „იმერული ნატურმორტი“, ძველი თბილისის ამსახველი ნახატები და წალვერის სერია.

1919 წელს ქართველ მხატვართა საბჭომ, რომლის თავმჯდომარეც იყო მხატვარი დავით შევარდნაძე დ. კაკაბაძე პარიზში მიავლინა სასწავლებლად და სტიპენდიაც დაუნიშნა. აქ იგი 1927 წლამდე დარჩა. პარიზში ყოფნის პერიოდში მის შემოქმედებაში გამოიკვეთა ორი მიმართულება. პირველს მიეკუთვნება რეალისტური სურათები — პარიზის ჩანახატების სერია, „წურბელების გამყიდველი“, „ბანანების გამყიდველი“, აკვარელების სერია „ბრეტანი“, მეორე მიმართულებას კი ეკუთვნის უსაგნო სურათები და კოლაჟები.

დავით კაკაბაძე 1927 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ამ წელს შექმნა მან სურათი „ინდუსტრია“. იმავე წელს იგი კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია თეატრში სპექტაკლების გასაფორმებლად და მას შემდეგ წლების მანძილზე ემსახურა ქართულ თეატრს. მან გააფორმა სპექტაკლები: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ნინოშვილის გურია“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „კოლმეურნის ქორწინება“, სადგურის უფროსი“, „პიკის ქალი“ (ოპერის თეატრში).

მას ეკუთვნის კინოფილმების „მარილი სვანეთს“, და „დაკარგული სამოთხის“ მხატვრობა. მაგრამ მხატვრისათვის მთავარი მაინც იყო ფერწერა და გრაფიკა. იგი კვლავ დაუბრუნდა იმერეთის პეიზაჟის თემას, შექმნა ინდუსტრიულ ტილო — „რიონჰესი“, „მიტინგი იმერეთში“ „სვანეთი“, „თბილისი და მისი მიდამოები“, „ყაზბეგი“, „ფოთი-ელევატორი“ „სვანეთი — მადნის დამუშავება“. 1928-1948 წლებში დავით კაკაბაძე, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ზრდიდა ახალგაზრდობას. დავით კაკაბაძე ქართველ მხატვართა ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია. იგი იყო თვალსაჩინო, განუმეორებელი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, მისი შემოქმედება მიმზიდველია და გასაოცარი არა მარტო დიდი კომპოზიციური ოსტატობით, არამედ განსაკუთრებული ფერადოვანი სიფაქიზით, დახვეწილობით და პოეტურობით. დავითი პატარა ერის ის დიდი შვილია, რომელმაც დაუტოვა შთამომავლობას უმდიდრესი საზრდო სულიერი, მორალური თუ ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის.

**ქ. ლიაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა შენი ქალაქი გიყვარს



დედა-შვილი ფატი ბურდული და ქეთევან უვანია

პირველად ყველას ძალიან გაუკვირდა. ამბობდნენ, ასეთი რა გაუჭირდათო. იმასაც ამბობდნენ, აქ რაღაც სხვა ამბავია, ალბათ, რაიმეს ჰპირდებიანო.

ბევრ რამეს ამბოდნენ.

არ ამბობდნენ მხოლოდ ერთს და ნამდვილს, ნამდვილს და მთავარს.

არ ამბოდნენ იმას, რომ ეს ყველაფერი მართლაც გულშემატკივარი ადამიანის უანგარო და უპრეტენზიო საქციელი იყო. მშობლიური ქალაქის სიყვარულით და მისდამი წრფელი მზრუნველობით სავსე, მეტი არაფერი...

კომკავშირის პირველი მაისის რაიკომში გამხელილი განზრახვა თავდაპირველად ხელმძღვანელებისათვისაც ცოტა უჩვეულო აღმოჩნდა, რაიონის სანეპიდსადგურში ხომ ეს პირველი შემთხვევა იყო.

დედა-შვილს — კვების მრეწველობის საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორს ფატი ბურდულსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარჩინებით კურსდამთავრებულს, № 128 საბავშვო ბაღის აღმზრდელს ქეთინო უვანიას დიდხანს უხდებოდათ იმისი მტკიცება, რომ მართლა სერიოზულად ჰქონდათ გადაწყვეტილი, მუშაობა დაეწყოთ... მეეზოვედაც.

მას შემდეგ უკვე რამდენიმე თვე გავიდა. ყოველ დილით და საღამოს დავით აღმაშენებლის გამზირზე, კინოთეატრ „ოქტომბერთან" თვალში მოგხვდებათ ორი ახალგაზრდა ქართველი ქალი ცოცხით ხელში, გულმოდგინედ რომ ჰგვიან ფილაქანს.

თუმცა ქალბატონი ფატი ახლა ცოცხით აღარ გვის. მან ამისთვის ხელით საგორებელი სპეციალური საგველი მანქანა გამოიგონა (უძრაოდ), რომელიც ეკოლოგიურადაც სუფთაა და უფრო ეფექტიანიც.

— ჩვენ აქ არც გაჭირვებას და არც სხვა რაიმე სარგებელს მოუყვანივართ, — ამბობს ქეთინო. — ჩვენი მიზანი მხოლოდ ერთია: გვინდა თბილისელებმა დაინახონ და დაიჯერონ, რომ ამაში სასირცხვილო არაფერია, რომ არანაირი შრომა სათაკილო არ არის, მით უმეტეს თუ იგი შენს ხალხს, შენს ქალაქს ხმარდება. ამის გარდა, — როცა სტუმარი შენს სახლს ჰგვის, ის აღარ არის სტუმარი და თუ გვინდა საკუთარი სახლის ბატონ-პატრონი ვიყოთ, მასპინძლობაც ჩვენვე უნდა ვიკისროთ, ყველაფერში და ყოველთვის.

მჯერა, რომ მიმდევრები გამოგვიჩნდებიან, თანდათან გავთავისუფლდებით აკვიატებული აზრისაგან, თითქოს ეს ჩვენი საკეთებელი არ არის და სათაკილოდაც აღარ მივიჩნევთ... მერწმუნეთ სათაკილო ამაში მართლაც არაფერია, მე ვუვლი ჩემს ქუჩას — ჩემს სახლს...

ქეთინო ამ უბანში დაიბადა და გაიზარდა. თავიდან მეგობრებსაც ძალიან უკვირდათ, მაგრამ ახლა მის მოვლილ ქუჩასაც განსაკუთრებით უფრთხილდებიან.

— ხალხმა როგორ აღიქვა თქვენი ნამოქმედარი?

— თავიდან ძალზე გაოცებული სახით გვიყურებდნენ, მერე ბევრი მოდიოდა და მადლობასაც კი გვიხდიდა, განსაკუთრებით კაცები. გოგონები, რატომღაც, უფრო ამრეზილად შეხვდნენ ამ ამბავს.

ახლა უკვე ყველა მიეჩვია და ჩვეულებრივ კეთილი ღიმილით გვხვდებიან ხოლმე. თურმე, არც ისე ძნელი ყოფილა კეთილი საქმის გაგება.

ამას წინათ მეზობელმა ბიჭმაც გაგვიმხილა სურვილი, მხარში ამოგვიდგა, მაგრამ დედამისმა გვისაყვედურა — შვილი გადამირიეთო...

— მამა როგორ შეხვდა თქვენს ასეთს საქმიანობას?

— მამა ჯერ კიდევ დედისაგან მიეჩვია ასეთ უცნაურ ახირებებს. მან იცის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, იმიტომ ვაკეთებთ, რომ საჭიროდ ვთვლით.

ღიმილით და გულწრფელად ამბობს ყველაფერს.

მალე ქეთინო მეუღლეც გახდება და ძალიან უხარია, რომ მისი რჩეული ამ უჩვეულო განზრახვას უპროტესტოდ შეხვდა.

— სოფელში წავალთ საცხოვრებლად, ბევრ შვილს გავაჩენ, დიდ ბაღს გავაშენებ და საქონელიც მეყოლება. მერე კი, თუ გამიმართლა, ოჯახურ სასტუმროს შევქმნი — ეს ჩემი ოცნებაა.

ამ ყველაფრის გარდა, იგი ქართველ შევარდენთა რეგიონის წევრიც არის. სპორტულ ორიენტირებაში ავარჯიშებს თანამოაზრეებს. ქეთინო საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია სპორტის ამ სახეობაში. თავად ფარიკაობაში ვარჯიშობს. ქართველი კაცის ბუნებაში თავდასხმა არასოდეს ყოფილა, მაგრამ თავდაცვა მაინც ხომ უნდა შეგვეძლოსო, — ამბობს. საღამოს, ქუჩის დასუფთავებას რომ მორჩება, სავარჯიშოდ მიდის, დილითაც გამთენიისას დგება.

— სპორტი დედასაც ძალიან უყვარს, ხანდახან ჩვენთან ერთად ისიც ვარჯიშობს ხოლმე, — ამაყად ამბობს გოგონა, — ყველაფერს სჯობია რაიმე რეალური ვაკეთოთ და ამით გავუწიოთ სამსახური ხალხს, საქართველოს და რაც მთავარია, არაფერი გვეთაკილებოდეს.

— როდემდე აპირებთ მეეზოვედ მუშაობას?

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში მიმდევრები უნდა გამოგვიჩნდეს. ხომ შეიძლება თბილისს ლამაზი თბილისელი გოგო-ბიჭები უვლიდნენ, რატომ არ უნდა ვთვლიდეთ ამას საამაყოდ, ჩვენ ხომ მუდამ გვახასიათებდა მზრუნველი კაცის ბუნება, მაშ, რატომ უნდა ვთაკილობდეთ საკუთარი ქალაქის მოვლას და სხვას ვუგდებდეთ ამ საქმეს ხელში, აქაურობის პატრონები ხომ ჩვენ ვართ?!

ქეთინო გულწრფელი იყო და მართალი.

ამ ყველაფერს სერიოზული დაფიქრება სჭირდება და მაშინ მიმდევრებიც გამოჩნდებიან, ბევრს ხომ მატერიალურადაც უჭირს. ეს საქმე კი არც ძნელია და არც სასირცხვილო, მთავარია, ისე თავისუფლად, საღად და რეალურად ვიფიქროთ, როგორც ფიქრობს ორი ჭეშმარიტად თბილისელი ქართველი ქალი.

**რიტა ბაინდურაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლანა გოცირიძე და მისი ქალიშვილი მარიკა გორგაძე

# მხატვრის სახელოსნოში

ამჯერად ერთ ქართველ ქალს გაგაცნობთ — მხატვარ ლანა გოცირიძეს.

ლანამ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იგი ქანდაკების ფაკულტეტზე სწავლობდა. იმ დროს აკადემიაში ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი მხატვრები, როგორიც იყვნენ ვალერიან თოფურიძე, კონსტანტინე მერაბიშვილი, ვასილ შუხაევი, სერგო ქობულაძე და სხვები. აკადემიის დამთავრების შემდეგ ლანამ მუშაობა თბილისის სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროში დაიწყო. (დღევანდელი ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტი). სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი ლანამ და ალიკო გორგაძემ — საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა.

ამ სტატიაში ჩვენ არ მოგითხრობდით ალიკო გორგაძეზე, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, მაგრამ თანამედროვეთა: ნოდარ დუმბაძის, ლადო გუდიაშვილის, მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის და სხვათა მოწმობით, ეს იყო არაჩვეულებრივად ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე ადამიანი, მრავალფეროვანი მხატვარი, ბრწყიუვალე მოქანდაკე, გრაფიკოსი ჭედურობის ოსტატი და მგრძნობიარე მეგობარი... გატაცებით შეუყვარდათ ერთმანეთი.

ჭედურობის ბრწყინვალე ოსტატმა ახალგაზრდა მხატვარ ქალს ჩაუნერგა ამ დარგის სიყვარული, შეასწავლა ლითონის დამუშავების ურთულესი ტექნიკა და მემკვიდრეობად დაუტოვა თავისი ქმნილებანი, ნამუშევრები, ესკიზები. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ლანა გოცირიძემ მოაწყო მისი ნამუშევრების გამოფენა. ამასთან დაკავშირებით ლანამ უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა იმისათვის, რომ ექსპოზიციაში მოხვედრილიყო ის ჭედური კომპოზიციები, რომლებითაც არის შემკული სასტუმრო „ივერიის" ინტერიერი; ლანა გოცირიძემ გააკეთა ზუსტი ასლები ალიკო გორგაძის ამ ნამუშევრებისა; სხვანაირად გამოფენა ხომ არასრული იქნებოდა! ალიკო გორგაძე ცხოვრებიდან 45 წლისა წავიდა და დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა, განუხორციელებელი იდეები, ესკიზები. უამრავი ესკიზი... და მაშინ ლანამ გადაწყვიტა ამ ესკიზებისათვის ხორცი შეესხა, ისევე, როგორც ეს იქნებოდა მისი სიცოცხლის დროს.

წლების მანძილზე, გზადაგზა იგი აკეთებდა ჭედურ კომპოზიციებს თავისი ქმრის ესკიზების მიხედვით, ზრდიდა შვილებს, ამასთანავე, ქმნიდა საკუთარ ხელოვნებას, საკუთარ ჭედურობას, მედლებს. ლანა გოცირიძის ჭედური ნამუშევრები წარმოდგენილი იყო გამოფენებზე არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთ. მხატვარი დიდ დროს უთმობს სამედლო ხელოვნებას, ყველა ისინი შესრულებულია ბრინჯაოში და გალვანოპლასტიკის ტექნიკით. მათი თემატიკა მრავალფეროვანია, აქ არის ქართული არქიტექტურული ძეგლების პოპულარიზაცია: ატენი, გრემი, ნიკორწმინდა, სვანეთი, წულრულაშენი, ყუმურდო. მედლებზე გამოსახულია ცნობილი მეცნიერების, კომპოზიტორების, მწერლების, პოეტების სახეები: — პეტრე იბერიელის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის, ემანუილ კანტის, გოეთეს და სხვათა სახეები. მაგრამ განსაკუთრებით ხშირად მხატვრის შემოქმედებაში დედობის თემა გვხვდება, კვლავ და კვლავ უბრუნდება მხატვარი ამ კეთილშობილურ თემას და ყოველთვის სხვადასხვა სახით წარმოგვიდგენს.

ოთხი წელიწადი იცხოვრა ლანა გოცირიძემ ალიკო გორგაძესთან. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გავიდა თითქმის ოცი წელი. და ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ ალიკოზე არ ეფიქროს. სახლი სავსეა მასზე მოგონებებით. იზრდება ქალიშვილი, რომელიც ძალიან ჰგავს მამას და ლანა მასში ხედავს მამის გაგრძელებას.

მარიკაც მხატვარია! მარიკა გორგაძემ წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტი. სახელოსნოში თაროებზე დევს ლურჯი, საოცარორნამენტიანი ჭურჭელი, შესრულებული გუელში; დევს სხვა მრავალფეროვანი კერამიკული ნამუშევრები, რომელთა უმეტესობა შესრულებულია მოსკოვისა და თბილისის ქარხნებში პრაქტიკის დროს. აქვეა ახალთახალი სადიპლომო ნამუშევრის დიდი კერამიკული პანოს ესკიზები. წინ ცხოვრების დიდი გზაა. გეგმები, იმედები და ჩანაფიქრები... ლანა გოცირიძის სახელოსნოში ხშირად მოდიან მეგობრები. აქ ყოველთვის სიმყუდროვე და სიფაქიზეა. მასპინძლები სტუმართმოყვარენი არიან და ხალისით იღებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულთ.

უახლოეს მომავალში მოსალოდ-

ნელია ლანა გოცირიძის და ალიკო გორგაძის ჭედური ნამუშევრების ერთობლივი გამოფენის მოწყობა ტუნისში. ეს იქნება პირველი გამოფენა, სადაც ისინი „შეხვდებიან“ ერთმანეთს. აქ მნახველი თვალნათლივ იხილავს მათი ნამუშევრების სხვაობასა და მსგავსებას, შეიგრძნობს მეუღლე-მეტრის გავლენა, უდიდეს სიყვარულს და განუწყვეტელ კავშირს, რომელიც ვერ გაწყვიტა ოცმა წელმა.

ლანა გორგაძის სახელოსნოში ჩემი ყურადღება მიიპყრო პატარა ზომის კომპოზიციებმა, რომლებიც შესრულებულია კალით, შავ ფონზე. ეს იყო მოულოდნელი და განსხვავებული იმისაგან, რაც კი მხატვარს შეუქმნია ადრე. წარმოიდგინეთ ვერცხლისფრად მბრწყინავი ფრინველი ბნელ ღამეში, საოცარი ცხოველები, ცხენები, ძაღლები, მხედრები, აი დონკიხოტიც ცხენზე ამხედრებული, მოცეკვავე, უცხო ქალი და სხვა. ისინი გაჩნდნენ შემთხვევით, მაგრამ უკვე მყარად დამკვიდრდნენ მხატვრის სახელოსნოში.

ვუსურვოთ ხელოვან ქალს შემდგომი წარმატებები შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში!

**სვეტლანა ჯაფარიძე,**
ხელოვნებათმცოდნე.



● ვებერი



● ვაზი



● ქინდორზე



● პეტრე იბერიელი

● პელიკანი





● ცხენები





მარიკა გორგაძის ნამუშევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოსთვის დაბადებული



ანასტასია ორბელიანი-ჯავახიშვილი

ბატონი **ალექსანდრე ჯავახიშვილი** იმ დღეებში ძალზე მოუცლელი გახლდათ, სახალხო ფრონტის დამფუძნებელ კრებაზე გამოსასვლელად ემზადებოდა, პარალელურად 9 აპრილის ამბების შემსწავლელი კომისიის სხდომებზე იწვევდნენ. საქართველოს ბედით შეჭირვებულმა, ათასნაირი საფიქრალით დატვირთულმა მეცნიერმა, მოცალეობის ჟამს უარით არ გამოგვისტუმრა, რამდენიმე კითხვაზე გაგვცა პასუხი და თან დასძინა, რომ დედაზე, ღვთაებრივი ივანე ჯავახიშვილის მეუღლეზე, ანასტასია ორბელიანზე უკეთ მისი დისწული, თითქმის დიდედის გაზრდილი და მისი უსაყვარლესი შვილიშვილი **დალი გერსამია** გვიამბობდა.



მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი

* * *

**— ბატონო ალექსანდრე, მინდა ვისარგებლო ამ ბედნიერი შემთხვევით და თქვენ, როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს გკითხოთ — როგორია დღევანდელი საქართველოს ვითარება, იწყება თუ არა ის ბედნიერი ხანა, რაზედაც თქვენი მამა, დიდი ივანე ჯავახიშვილი ოცნებობდა?**

— დღევანდელ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში, ასე ხელაღებით თქმა იმისა, თუ რა მოგველის ხვალ, შეუძლებელია. ერთი კი ცხადია, რომ მდგომარეობა დღესდღეობით რესპუბლიკაში ძალიან დაძაბული და გართულებულია. გვმართებს დიდი სიფრთხილე, წინდახედულება, აჩქარება ყოვლად დაუშვებელია, ვაი თუ, მცდარი ნაბიჯის გადადგმა შემდეგ საბედისწერო და სავალალო გამოდგეს ქართველი ერისათვის. ვიკმაროთ 9 აპრილისა და აფხაზეთის სისხლი...

**— რა აზრის ბრძანდებით დღევანდელ ახალგაზრდობაზე?**

— შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, ნიჭიერი, უნარიანი. თამამი და უთუოდ ანგარიშგასაწევიც...

**— კადნიერებაში ნუ ჩამითვლით და როცა თქვენ ლაპარაკობთ ან ტრიბუნასთან დგახართ, ასე გვგონია ბატონ ივანეს ვუსმენთ, მისი სახება წარმოჩინდება თქვენში, თუმცა ჩემი თაობა ამ ბედნიერებას მოკლებული გახლავთ.**

— თქვენ ცდებით, მამა სხვა კაცი იყო, სხვა პიროვნება, სხვა განზომილებით აფასებდა ყოველგვარ მოვლენას, ალბათ რაიმე გარეგნული მსგავსება არის ჩემშიც...

* * *

ინტერვიუს ვაგრძელებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის შემსწავლელი მუზეუმის გამგესთან დალი გერსამიასთან.

**— რაც პაპას, დიდებულ ივანე ჯავახიშვილს და მის მეუღლეს ეხება, იმის განურჩევლად, თუ რა მნიშვნელობისაა იგი, ყველაფერი საინტერესოა ჩვენი მკითხველისათვის, ჩვენი ერისათვის.**

— პაპა კარგად არ მახსოვს, როცა გარდაიცვალა, მაშინ 6 წლის გახლდით. ერთი რამ კარგად ჩამებეჭდა მეხსიერებაში; 1937 წელს, როცა ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველის იუბილე იზეიმა, პირველ საბავშვო ბაღში დავდიოდი. დედაჩემიც იმავე ბაღში მუსიკის მასწავლებ-



დედა-შვილი: ანასტასია ორბელიანი და ალექსანდრე ჯავახიშვილი

ლად მუშაობდა. ბალში გამართული ზეიმისათვის საოცრად ლამაზი კოსტიუმებია ესკიზები პაპამ შექმნა. ალბათ მე და დედაჩემის პატივსაცემად გააკეთა ეს. პაპა შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე და კარგადაც ხატავდა.

**— იქნებ პაპას და დიდედას ქორწინებაზე გვიამბოთ, მათ შეხვედრაზე.**

— გადმოცემით ვიცი, 1906 წელს, როცა პაპამ ბებოზე იქორწინა, ახლად შეუღლებულნი ცხენებით დადგომიან თეძამის ხეობის გზას ხოვლესაკენ, პაპა იქიდან იყო. ულამაზესი წყვილი ყოფილა. გზადმიმავალი ხალხი ჩერდებოდა, თურმე, თვალს ვერ სწყვეტდნენ სანახაობას. პაპაჩემი საშუალოზე ოდნავ მაღალი, გამხდარი, დახვეწილი გარეგნობისა იყო, ძალზე მოკრძალებული შვილებთან, ახლობლებთან, მეუღლესთან ურთიერთობაში. უფრო მეტად ეტლით უყვარდა მგზავრობა, არც ტრამვაის თაკილობდა, როცა სსრ კავშირის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, მაშინ მიამაგრეს მსუბუქი ავტომანქანა.

ერთი შემთხვევაც მინდა გიამბოთ, 1917 წელს, როცა ჩვენი ოჯახი გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად პეტერბურგიდან საქართველოში ბრუნდებოდა საბოლოოდ, იმ წლების არეულობის გამო ორივე ოჯახის მთელი ავლა-დიდება დაკარგულა: უნიკალური ბიბლიოთეკა, ძვირფასი ნივთები... განსაკუთრებით წიგნებზე სტკიოდათ გული, ადვილად ვერ დაივიწყეს...

**— გვიამბეთ ბებოზე, ქალბატონ ანასტასიაზე.**

— შორიდან მინდა დავიწყო, ბებიაჩემი ორბელიანის ქალი გახლდათ. თეკლა, ისტორიაში „თეკლა ბიჭად“ ცნობილი, ერეკლე მეორის ქალიშვილი იყო. თეკლას სამი ვაჟი ჰყოლია. ერთ-ერთის — პოეტ ვახტანგ ორბელიანის შვილი იყო ბებიაჩემის მამა ნიკოლოზი, ფრიად განსწავლული იურისტი.

ალბათ შეამჩნიეთ ჩვენს სახლს გარედან კიდევ ერთი იმის მაუწყებელი აბრაც აკრავს, რომ ამ სახლში ცხოვრობდა საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ბებიაჩემის უშვილო მამიდა. ეს სახლი მას ეკუთვნოდა. საბოლოოდ შვიდ ძმისშვილს დაუტოვა ანდერძით. პაპაჩემსაც აქვე ახლოს ჰქონია ბინა. ორბელიანებივით, ჯავახიშვილები არ ყოფილან დიდი სიმდიდრის პატრონები, მაგრამ ბრწყინვალე განათლება კი ჰქონია ყველას პეტერბურგში მიღებული.

სამი შვილი შეეძინათ, დედაჩემს ნათელა ერქვა, პირველი შვილი იყო. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ივანე ჯავახიშვილის კაბინეტის გამგედ მუშაობდა სიკვდილამდე. კახა არქიტექტორი გახლდათ, შარშან გარდაიცვალა. ალექსანდრე (ლალი) სპეციალობით არქეოლოგია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მთელი ცხოვრება ლამის ექსპედიციებში აქვს გატარებული. დიდი ოჯახი გვქონდა. სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი, შვილთაშვილები... ბებო ყველა თაობას მოესწრო, 85 წლისა გარდაიცვალა 1968 წელს. ჩვენი ოჯახის სიძეა, ალექსანდრეს ქალიშვილის ნინოს მეუღლე აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. ალექსანდრეს ვაჟი ვანო, ლიანა ისაკაძის ანსამბლში უკრავს ბებოს საოცნებო ვიოლინოზე, მეორე ვაჟი გიორგი — ხელოვნებათმცოდნეა. ჩემი ძმაა მწერალი დავით ჯავახიშვილი. კახას ერთი ვაჟი ჰყავს თარხუჯი — მხატვარი. მე პირველი შვილიშვილი გახლდით, ბევრის მომსწრე და შემყურე. არ დაგავიწყდეთ, ჩვენს სახლში ცხოვრობდა გურამ რჩეულიშვილი — პაპაჩემის დის ეკატერინეს შვილიშვილი.

**— გამიგია, ბატონი ივანე რომ შევიწროებული იყო, მაშინაც კი თქვენი ოჯახი, თქვენი დიდედა, ყველას შემწე და შემფარე იყოო.**

— ამ კითხვაზე თითქმის ნაწილობრივ ზემოთ გაგეცით პასუხი, როცა მოგახსენეთ, რომ ამ სახლში ყველა ერთად ვცხოვრობდით დიდხანს. ბინა დიდი იყო, ზემოთ 5 ოთახი გვეჭირა, დაბლა თავლა, სამრეცხაო, სააბაზანო, სამზარეულო გვქონდა. ამის მიუხედავად, პაპას სამუშაო ოთახი არ ჰქონდა, ბავშვების ხმაურში, დიდ საერთო ოთახში იჯდა ხოლმე და ისე მუშაობდა, ხელი სულაც არ ეშლებოდა. შევიწროების წელი 1926 იყო, უნივერსიტეტიდანაც დაითხოვეს მაშინ. პაპას ნაშრომების ხელით გადაწერაში შველოდნენ ერთგული მეუღლე და ბებიაჩემის და, სილამაზით განთქმული თეკლა. ჩვენი ოჯახი, როგორც შეეძლო, ყველას უმართავდა ხელს, რომ იტყვიან, ყველანი შრომაში იყვნენ ჩაფლულნი. ყველა თავის საქმეს აკეთებდა. მუცლის გადაყოლის პრობლემა მაშინ არ არსებობდა ქართველ მოწინავე საზოგადოებაში და არც ჩვენი ოჯახი იყო ამ მხრივ გამონაკლისი, ზომიერების ფარგლებში იცოდნენ ჭირიც და ლხინიც.

ქალი რომ გათხოვდება, შინ უნდა დაჯდეს და კარგ შვილებს მაშინ გაზრდისო, ასეთი იყო ბებიაჩემის ცხოვრების კრედო. გათხოვებისთანავე მიატოვა მისი საყვარელი ვიოლინო, კონსერვატორიადამთავრებული პირველი მევიოლინე ქალი გახლდათ საქართველოში. ფუფუნებაში აღზრდილ ქალს სულაც არ ეთაკილებოდა, ხან ბაზარში მიიჩქაროდა, ხანაც საათობით იდგა ნავთის რიგში.

პაპას უნივერსიტეტის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია. დიდი ეკონომიური და მორალური დახმარება გაუწევია მისთვის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს. ამ ქველმოქმედ ქალს პირადი ძვირფასი ნივთები ჩაუტანებია უნივერსიტეტის საძირკველში და საკმაო თანხაც შეუწირია. მარიამი ილია ჭავჭავაძესთან კარგად დაახლოებული ყოფილა და მისი მეშვეობით ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი ბევრჯერ ყოფილა დიდი მწერალი.

**— ქალბატონმა ანასტასიამ რა წილი გაიღო შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილიშვილების აღზრდაში? არის შემთხვევები, როცა ოჯახის მამები ისე ბრწყინავენ ამ ქვეყნად, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი, მათი მეცხედრეები კი...**

— ბებიაჩემისა და პაპას შეუღლებას შეიძლება ბედნიერი და სამაგალითო შემთხვევა ვუწოდოთ. ბებიაჩემის ცხოვრების კრედოც გითხარით. ჩვენ, შვილიშვილებს, მაშინ გვეგონა ჩვეულებრივი პაპა და ბებო გვყავდნენ, მაგრამ დრომ დაგვანახა, რომ ეს ასე არ ყოფილა. ბებომ ყოველგვარ პირადულზე უარი თქვა გათხოვების დღიდანვე. მსხვერპლი გაიღო მისი მრავალრიცხოვანი მონაგრისთვის. ახალგაზრდობაში ქართულად ლაპარაკი უჭირდა თურმე, ფრანგული და რუსული უფრო ეხერხებოდა, მაგრამ მალე დაუფლებია მშობლიურ ენას, ძულდა შერეული ლაპარაკი, ისე ჩავიდა მიწაში, მისგან ერთი სიტყვაც არ გვსმენია ქართულის გარდა. სულითხორცამდე შეწირული მეუღლე, დედა და ბებია იყო ამ დიდი ოჯახისა, ყველას შემწე და შემფარე, ყველაზე ბოლოს ის მიუჯდებოდა სასადილო მაგიდას, ყველას ის გვივლიდა და გვპატრონობდა.

**— მე ჩემი თვალით მინახავს ადამიანი სახლთან (კალინინის ქ. № 66) როგორ იდგა და პირჯვარს იწერდა.**

— თუ ასეთი რამ თქვენ მართლა ნახეთ, ეს ეკუთვნის ჩვენი დიდი ოჯახის იმ ადამიანებს, იმათ ნათელ ხსოვნას, მათი სურათები ამ კედლებს რელიქვიად რომ შემორჩნენ. ჩვენ კი სულ გვსაყვედურობდნენ: სულგანათლებული ბებო ამბობდა, რა ვქნა, ისეთები მაინც არა ხართ, თქვენს სახელოვან პაპას რომ ეკადრებოდაო.

**— ქალბატონო ლალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭებაზე რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს?**

— ახალს არაფერს. ამაზე ბევრჯერ დაიწერა პრესაში, გადაიცა ტელევიზიით, გაიმართა დისკუსია, იყო აზრთა სხვადასხვაობა. საბოლოოდ ასე გადაწყდა. საამაყოა, რომ ივანე ჯავახიშვილის პრემიის პირველი მფლობელი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი მარიამ ლორთქიფანიძე გახდა. შეკითხვას გადავუხვევ, — პაპა 1939 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კი 1941 წელს დაარსდა, გადაწყვეტილი იყო მისი პირველი პრეზიდენტი ივანე ჯავახიშვილი ყოფილიყო, არ დასცალდა, 1940 წელს გარდაიცვალა.

**საქართველოსთვის, მისი ნათელი მომავლისათვის ბევრ გამოჩენილ ადამიანს შეუწირია თავი. ერთ-ერთი მათგანი დიდი ივანე ჯავახიშვილი იყო. მისი შთამომავლობა მამულიშვილური საქმიანობით სახელოვანი წინაპრის გზას მიჰყვება.**

ესაუბრა **ნანული ბუკია**



# გამოსათხოვარი

ეროვნული გმირი...

დიდი ქართველი...

ღვთაებრივი მისიით მოვლენილი...

მძიმე და საპატიო ტვირთის მზიდველი...

ამ ტვირთს სამშობლო ჰქვია, ერის სამრეკლო ჰქვია.

სადაც ჭირდა, იქ ბრძანდებოდა.

ცხოვრებაც მისი ჭირ-ვარამით იყო სავსე: გადასახლება, ციხე... პირადი, ოჯახური ვარამი... ზოგადი, საერო, საერთო შეჭირვება.

და ყველგან მერაბი, თავის განუყრელ ზვიად გამსახურდიასთან ერთად. როგორ გთხოვდი თავს გაუფრთხილდიო! — უთხრა ზვიადმა მთაწმინდაზე აბრძანებულს და დაუკოცნა ხელები, ლომის მხარბეჭი... ჩვენც ვერ გავუფრთხილდით, რამეთუ ყველგან გვჭირდებოდა მისი ქმედობა, სიტყვა, მისეული ზარების გუგუნი სამრეკლოდან.

ჩვენ კი, ჩვეულებრივი ადამიანები, მიჩვეული ვიყავით ყოველ ოთხშაბათს, ჭავახიშვილის 1 ნომერში აღმართზე ასვლას. იქ ვნახულობდით ულამაზეს ქართველ კაცს, ვეკითხებოდით, ვესიტყვებოდით, და ვკრებდით მარგალიტს, სიტყვაძვირი ბაგიდან მომდინარეს.

მერაბ, გვაპატიოს შენმა ამაღლებულმა სულმა: ვერ გაგიფრთხილდით... თუმცა თაყვანებას ჩვენგან სიცოცხლეშივე გრძნობდი...

მარადი იქნება ეს თაყვანება ქართველებისა შენი ერისკაცობის წინაშე!

ნაზი კილასონია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედნიერი

ზამთარია. ქარი და ყინვა ღამის სუსხს ეკლებს ასხამს და სულში ძვრება.

ოთახში სიცხიანი პატარა ბორგავს. თვალმილულულს სახეზე ალმური ასდის. გოგონამ წყალი ითხოვა. ახლობლები თავს დასტრიალებენ. კარებზე დააკაკუნეს. შემოსულთაგან ერთ-ერთმა ბრძანება წაიკითხა. ოთახში ჰაერი ტყვიასავით დამძიმდა. ბავშვმა თვალები გაახილა და გახევებულ დედას მიაჩერდა. გონებაში უაზრო სიტყვები ფორიაქობს. ორ საათში... სადგური... მატარებელი... ელოდებათ... ელოდებათ...

დედა გამოერკვა. ბავშვი დაელუპება... ორი დღე მაინც აჩუქონ!.. არ შეიძლება?.. ერთი დღე მაინც! ბავშვს სიცხეს დაუკლებს და, მერე სადაც უბრძანებენ, სადაც საჭიროდ ჩასთვლიან... აღმასრულებელმა საათზე დაიხედა.

— არც ერთი საათი! ბრძანება ბრძანებაა!

...და ბაბო დადიანი შვილებიანად გაუყენეს გოლგოთის გზას.

ძნელია იზრუნო სულიერ საგზალზე, როცა შვილების სიცოცხლე სასწორზე დევს და მარტომ უნდა უდარაჯო — სასწორის პირას არაფერი შეეშალოს, უნებლიედ არ გადაიხაროს. და მაინც შესძლო ქალბატონმა ბაბომ შეუძლებელი...

ზოგჯერ ჭირს დაჯერება, რომ იმ დარჯაკში გამოტარებულმა სულმა, რომელშიც ბედისწერამ ქალბატონი ბაბო ატარა, შესძლო წონასწორობის შენარჩუნება! შესძლო ჩვენამდე მოეტანა გაუბზარავი, რწმენაშეურყეველი სიცოცხლის სიყვარული და ქვეყნის სასიკეთო სამსახურში ჩაეყენებინა.

მან გადაურჩინა საქართველოს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის გიორგი შარვაშიძის კულტურული მემკვიდრეობა. ვოლგისპირეთსა თუ ყაზახეთის გაუსაძლის უდაბნოს ოლროჩოლრო გზებზე სიმძიმედაკარგულ ტვირთად ატარა იგი და სამშობლოში დაბრუნებულმა უბეში შენახულივით უვნებლად ჩამოიტანა დიდი განძი.

ღირდა ამ მემკვიდრეობის გადარჩენა ქართველი ხალხისათვის!

აფხაზი ხალხისთვისაც დიდმნიშვნელოვანია ეს კულტურული საგანძური. ეს არ არის მხოლოდ შთამომავლის მიერ (ქალბატონი ბაბო პირდაპირი შთამომავალია გიორგი შარვაშიძისა) წინაპართა სახეების — როგორც სახსოვარის გადარჩენა. ეს არის ქვეყნის ღირსეულ შვილთა ცხოვრების შემონახული ბედნიერი წუთების ხელახალი გაცოცხლება.

გიორგი შარვაშიძის მემკვიდრეობა ქალბატონი ბაბოს კუთვნილებაა. ეს გამოფენა მოეწყო ქართული ლიტერატურის მუზეუმში 1988 წლის 24 დეკემბერს. ეს არ იყო წარსულის გაიდეალებული ხედვა. ეს თითქოს ხელის შეხებამდე საგრძნობლად თბილი და ცოცხალი გარემო იყო. აქ ჩასახლებულიყო გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასთან ახლო

# სტუმრები ამერიკიდან

სექტემბერში საქართველოში სტუმრად იყო ამერიკელ ქალთა დელეგაცია. ამერიკიდან თავდაპირველად ისინი ჩამოვიდნენ მოსკოვში, საბჭოთა ქალთა კომიტეტში, რათა ახლოს გაცნობოდნენ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქალთა შრომასა და ცხოვრებას, მათ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტიურობას, სოციალურ პრობლემებს, ადამიანთა უფლებების დაცვას.

საქართველოში ამერიკელ ქალთა მასპინძელი იყო რესპუბლიკის ქალთა საბჭო. რომლის თავმჯდომარის მოადგილემ, ზინაიდა კვაჭაძემ გააცნო სტუმრებს ქალთა საბჭოს საქმიანობა, ქალების დიდი წვლილი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათი აქტიურობა გარდაქმნის საქმეში, მათი როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

საუბარში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი ქალები: ეთერ ქემერტელიძე, ნათელა ვასაძე, გუჩა კვარაცხელია, სოფიო გამრეკელი, მადონა მგელაძე, დალი ბოჯგუა, ლამარა მარგველაშვილი.

20 ამერიკელი ქალბატონის ეს პირველი სტუმრობა გახდა იმის საწინდარი, რომ მათ გამოთქვეს სურვილი დაამყარონ უფრო მჭიდრო კონტაქტები, თავადაც უმასპინძლონ ჩასულებს, მომავალშიც ესტუმრონ საქართველოს.

ყველას — სტუმრებსაც და მასპინძლებსაც აერთიანებდათ ფიქრები მშვიდობაზე, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაზე, დიდ ადამიანურ უფლებებზე, საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ოჯახზე, შვილებზე...

და დიდხანს, დიდხანს ჰყვებოდნენ თავიანთ მიზნებისა და ოცნებების, შვილებისა და საქმიანობების შესახებ: ქეი სთაინმეთსი — მისურის შტატის წარმომადგენელთა პალატის წევრი, ქალთა კანონმდებლობის სპეციალისტი, ბარბარა ჰილდტი და ბარბარა გარდნერი — მასაჩუსეთსის შტატის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები, ბლენდა უილსონი — მიჩიგანის უნივერსიტეტის კანცლერი, მიდრიდ მერი ჯეფრი-ვეინის უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს განყოფილების არჩეული წევრი, ქრისთინ ქაბალიერო — მექსიკელ ქალთა ასოციაციიდან, ჰელენ გორდონ დევისი — ფლორიდის სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს სენატორი, მართა იზარდი — ყოფილი კოლორადოს შტატის სენატორი და სხვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეტის გახსენება

მდგომი, გამორჩეულად ჯიშიანი ქართველ არისტოკრატთა ის ნაწილი, ვინც მეოცე საუკუნის დაბადებას უჭირისუფლა და ისინიც, რომლებმაც საუკუნესთან ერთად აიდგეს ფეხი.

ქალბატონი ბაბო ამ არისტოკრატიის უფლებამოსილი მემკვიდრეა.

ეს ის გიორგი შარვაშიძეა, რომელმაც ვერა და ვერ მოირგო მეფის ნაცვლის ადიუტანტობა და რუსეთის ხელისუფალთა მიერ დამნაშავედ შერაცხადი საქართველოდან გაასახლეს. სასჯელმოხდილმა ქუთაისში განაგრძო ცხოვრება. იგი იყო ქომაგი თავისი ხალხისა და არავის აპატიებდა მის აუგად ხსენებას. მან მამულიშვილური პასუხი გასცა გაუმხელელი ზრახვების დასაკმაყოფილებლად შეთითხნილი მონაჭორის ავტორებს.

სოხუმში მცხოვრებ ოლდენბურგის ოჯახში, სადაც უცხოელებთან ერთად ქალაქის მკვიდრნიც ქეიფობდნენ, მოხდა ინცინდენტი. ამის თაობაზე გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ქეიფის მონაწილენი (ადგილობრივი მკვიდრნი) უდიერად იყვნენ მოხსენებული. გიორგი შარვაშიძემ სტატიის ავტორს გერმანულადვე გასცა მკაცრი მამხილებელი პასუხი, რითაც, ალბათ, სამუდამოდ დაუკარგა მას ჟურნალისტური მოღვაწეობის სურვილი.

ეს ის გიორგი შარვაშიძეა, რომლის დახვეწილ ლიტერატურულ გემოვნებას ისე ენდობოდა დიდი ილია ჭავჭავაძე, რომ „მეფე ლირის“ მელანშეუშრობელ თარგმანს პირველს მას უკითხავდა.

აფხაზი ხალხის შვილს სამშობლო ალზევებულ ქვეყანაში არ უძებნია. მისი სამწერლო ენა ქართული იყო. ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „სამშობლო“ „თეატრი და ცხოვრება“) იბეჭდებოდა მისი ლექსები და პოემები, პიესები და პუბლიცისტური წერილები. იგი იყო შესანიშნავი მცოდნე საქართველოს ისტორიისა, არა გაყალბებულის, არამედ ქართველთა და აფხაზთა ერთიანი ჭეშმარიტი ისტორიისა.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგი მესხის, დავით ერისთავის და საქართველოს სხვა რჩეულ შვილთა გვერდით ილვწოდა იგი მშობლიური ენისა და კულტურის განვითარებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილმა უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ გიორგი შარვაშიძის სილამაზე და რაინდული გარეგნობა ტარიელის სახეში გადაიტანა და შემოგვინახა.

რა კარგად მოერგებოდა და დაამშვენებდა ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას გიორგი შარვაშიძის პიროვნება. მაღალი სულის რაინდს შორს გამიზნული მტრული ჩანაფიქრის ამოძირკვაც შეეძლო და სიკეთისა და მეგობრობის ფასიც ზედმიწევნით იცოდა.

ნორა ხომერიკი

# ვულოცავთ დაჯილდოებულებს!

საბჭოთა ქალების კომიტეტმა ქალთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, აგრეთვე, ქალთა საბჭოში აქტიური მუშაობისათვის დააჯილდოვა საქართველოში მოღვაწე ქალები.

საბჭოთა ქალების კომიტეტის სამახსოვრო მედალი მიიღო საქარხნო რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ **კლარა გიორგის ასულმა სვანიძემ.**

საბჭოთა ქალების კომიტეტის მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ:

1. **ჩხიკვაძე ელმირა დავითის ასული** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.
2. **საკანია ნორა გიორგის ასული** — კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრი.
3. **გელდიაშვილი ნელი გიორგის ასული** — გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მუშა, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრი.
4. **საბაშვილი ოლღა ივანეს ასული** — პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრი.
5. **შავლოხოვა თამარ ნიკოლოზის ასული** — სამხრეთ ოსეთის ოლქის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრი.
6. **ჩოფიკაშვილი ირმა გიორგის ასული** — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის განყოფილების გამგე.
7. **კახიძე მზია სიმონის ასული** — ქუთაისის საწარმოო გაერთიანების ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.
8. **ბელოუსოვა ირინა ვილჰელმის ასული** — ქ. რუსთავის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.
9. **ჩელებაძე ნათელა სულეიმანის ასული** — სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრი.



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა სიყვარული

ეს მაშინ იყო, რუსთაველის საზოგადოებასთან დემოგრაფიულ ფონდს ახლად რომ ეყრებოდა საფუძველი — შარშან ზაფხულს... ერთ თაკარა კვირა დღეს შევიკრიბეთ ძველი მეგობრები და სიცხისა თუ აურზაურისაგან თავის დასაღწევად ბოტანიკურ ბაღს ვეწვიეთ. ვიყავით ასე ათნი, ყველა გაუთხოვარი — 30-35 წლისანი. ქალები ვართ და მოგეხსენებათ, ათას რამეზე ვისაუბრეთ... ბოლოს, ბუნებრივია, ჩვენს ბედზეც ავწუწუნდით.

დაკვირვებული ვარ, ქალიშვილების ყოველგვარი სჯა-ბაასი აუცილებლად გათხოვებაზე საუბრით მთავრდება ხოლმე.

— რა გვჭირს, გოგოებო, რატომ ვერ ვთხოვდებით? — ეს კითხვა გაკვირვებასაც გამოხატავდა და გულისტკივილსაც.

მართლაც, რატომ ვერ ვთხოვდებით? ერთმანეთი შევათვალიერეთ — ციდან ვარსკვლავებს არ ვწყვეტდით, მაგრამ არცთუ გონჯები ვიყავით, ახლა რაც შეეხება წესიერებას, პატიოსნებას, ხელსაქმეს — რაც ქალისათვის აუცილებელია, ჩემი მეგობრები ამ მხრივ მართლაც, რომ სანაქებონი გახლდნენ.

— ვითომ ვერ გვიშველის ეს დემოგრაფიული საზოგადოება?

— ამ საზოგადოების მისიას უფრო მრავალშვილიანი ოჯახებისა და ახლადშეუღლებულების დახმარება წარმოადგენს.

— კი, მაგრამ, ამდენი შინაბერა და ამდენი შინაყუდა ბერბიჭა დედამიწის ზურგზე არცერთ ქვეყანას რომ არ ჰყავს, როგორც საქართველოს, რაო, იმათ დახმარება არ სჭირდებათ?

— მერე და რითი, როგორ? მაჭანკლობას ხომ არ დაიწყებენ.

— ვითომ ეს მაჭანკლობა რითია ცუდი, აი, კოოპერატივი „საუნჯე“ ამ საქმეს არ კისრულობს? გაზეთიც გამოსცა — „ინფორმრეკლამა“, სადაც მთელი გვერდი დაქორწინების მსურველთა განცხადებებს დაეთმო.

— კარგი, რა!... ის ვაჟკაცი შევარცხვინე, თავის შესაფერისს რომ ვერ მოძებნის და დახმარების იმედით განცხადებებს დააფრიალებს.

— რატომ, კაცო, ასე ადვილია შენი ტოლისა და სწორის მოძებნა?

— ან იმ ქალს რა ვუთხრა, საკუთარ თავს რომ დაიხასიათებს — ასეთი და ასეთი ვარ და ასეთსა და ასეთს ვისურვებდი ქმრადო.

— იმიტომ ვართ ასე, ყველაფერი რომ გვეთაკილება. რა არის მაგაში ცუდი. კარგი, ვთქვათ განცხადებების გამოქვეყნებას ჯერ შეჩვეული არა ვართ ქართველები და ალმაცერად, ან ირონიული ღიმილით ვუყურებთ ამ ამბავს, მაშინ ძველს, ჩვენს ხალხში მეტად მიღებულს — შუამავლობას რატომ ვივიწყებთ, აღარ გაგიგიათ, როგორ ქორწინდებოდნენ ჩვენი პაპა-ბებიები?

— როგორ და უსიყვარულოდ. მერე ეს კარგია?

— არც ცუდია. რა ქნას აბა, იმან, ვინც ვერ იპოვა სიყვარული, ან ვისაც ეწვია და არ გაუმართლდა. დარჩეს ასე? უშვილუძიროდ გადაბერდეს? ისიც ახლა, როცა ასე ვმცირდებით ქართველები? მე მგონი, უნდა შევიგნოთ — ჩვენი თავი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის.

— აგერ, აქ ათნი ვართ, ათი კარგი ოჯახი ცოტაა საქართველოსთვის? მერე ჩვენისთანა რამდენია — გაიარეთ კვლევით ინსტიტუტებში, სკოლებში, ფაბრიკებში ქარხნებში, — გაუთხოვარი გოგოებით არის სავსე.

— არც შინაყუდები გვყავს ცოტა.

— ეგენი კიდე ქვეყნის უკეთესის ძებნაში, წუნიაობა-წუნიაობაში გადაანწყდებიან ვილაცა ალქაჯს და...

— სხვათა შორის, ვინც ყველაზე წუნიაა, ყველაზე უარესი შეხვდება ხოლმე.

— ახია მაგათზე!

— ისე, კაცებს რომ ჰკითხო, თავიანთ უგერგილობას ჩვენ გვაბრალებენ, ისეთ რამეებს ითხოვთ, — ეს ძვირფასი კაბებიო, ეს ბრილიანტებიო, სადა გვაქვს მაგის თავიო

---

მარიკა ბარათაშვილი

## სუ, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!

საქართველოს ზეცა ჩვენი,
დანარჩენი სხვა — ობშჩი“.
ჩაწექი და ინებივრე,
შენთვის ნელთბილ ჭაობში.

შიშით თავში ჩაჩქუნის და
ყველგან ხელის მოცარვის,
თვისი უფლის დამგმობი და
სხვის ღმერთებზე მლოცავი,

ვიწექით... და არც გვკითხავდნენ
ხმა-და სიტყვაალკვეთილს,
ვის რგებოდა ჩვენი ბინა,
და ვის მიწის ნაკვეთი.

ზღვისპირი თუ ხოდაბუნი
„ძმებმა-ძმურად“ გაიყო.
მერე რა, რომ გაიყო?
სუ, ჩუ, არვინ გაგვიგოს!

დახლთან დადგა „კარგი ბიჭი“,
კაცი „ნაღდი ქართველი“.
(მოდით, ვაქოთ ცოცხლის ნიჭი,
მკვდარს — მივაგოთ „ნათელი“).

ეგებ ახლაც, შორს თუ ახლო,
მოწყალებას იმეტებს:
„იყიდება სამოსახლო,
ერთი... ორი... ვინ მეტი!“

კაცი იღვწის, კაცი ქველობს
და გორდება ყომარი...
და ისმება სადღეგრძელო
„ინტერნაციონალის“.

... იქ კი, ლუკმის მონატრული,
მრავალურვანახული,
ფხოკნის კლდეებს იმერელი,
მუდამ მიწის მარხული.

დღისით, ღამით, მალვით, ქრთამით,
აშკარად თუ ქურდულად,
სადღა შეგვრჩა საქართველო! —
ლამის მთლად გაყიდულა.

ახლოვდება... (ვითომ? — ალბათ!)
ჟამიც წესის აგების.
გვიტირებენ მაშინ ცალყბად
„ძმები — ამხანაგები“.

რას იტყვიან? ო, უფალმა
კეთილ ყურით ისმინოს:
„იყო... მაგრამ მაინც იყო
„ნაციონალისტიო.“

განა ხმალ-ხმალ შემოსევით,
ზურნითა და დაფდაფით...
— საქართველოვ სადამდი?
— ვაჰმე, მგონი, გავთავდი...

... ზღვისპირი თუ ხოდაბუნი
„ძმებმა-ძმურად“ გაიყო...
— მერე რა, რომ გაიყო?
ჩუმად, არვინ გაგვიგოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იგვიანებს...

— ვინ ითხოვს, ნეტა, ვინ? თითო-ორროლა ქარაფშუტათი უნდა განსაზღვრო ყველა ქალიშვილი? ყველა ერთ ტაფაში უნდა მოაქციო? შენ ასეთ რამეებს ითხოვ? — არა, ხომ! ჩვენ მხოლოდ თბილი, ალალი ოჯახი გვინდა, უსაყვედურო ლუკმა, შვილები... განა ეს პრეტენზიული მოთხოვნებია?

— შუამავლობა ვახსენეთ წელან და... მე მგონი ჩვენი წინაპრები ძალიან ჭკვიანი ხალხი იყო. ახლა რატომ, აი, მაგალითად შენ, ხომ ვერ იქებ საკუთარ თავს, ჭკვიანმა კაცმა, ვთქვათ, რომელიმე შენმა ახლობელმა ხომ იცის შენი ღირსებანაკლი, ვთქვათ, სწორედ ის იცნობს ისეთს, შენ რომ შეგეფერება მეუღლედ, რითია ცუდი, რომ გაგაცნოს, დაგაახლოვოს მასთან, მერე ერთმანეთი მოგეწონოთ...

— მე მაინც შუამავლებს ვერ დავიხმარ..

— აბა იყავით ასე, დამარხული ოქრო ჯირკიაო, არ გაგიგონია? გქონდეს ეგ შენი კარგი თვისებები, ეგ რბილი ხასიათი, ეგ დედობის სურვილი, სიბერემდე გაიყოლე!

ეჰ, ვინ იცის, რაღას არ წამოვედეთ, რაღა არ გავიხსენეთ. გული გვეტკინა, მაგრამ ჩვენი საკუთარი უბედობა ისე არ გვაწუხებდა, როგორც ქვეყნისა. ჩვენისთანა ლამის მოურჩენელი ჭირი ხომ ბევრი ჰყავს საქართველოს.

სწორედ მაშინ, შუამავლობაზე რომ ჩამოაგდო ერთმა სიტყვა, შევიცხადეთ, — აჰ, ეგ არ გაგვაგონოო...

მერე ბევრი ვიფიქრე ამაზე, ველაპარაკე მოხუცებს. ჩემდა გასაკვირად გამოირკვა, რომ გარიგებით შექმნილი ოჯახები იშვიათად ინგრევა, რადგანაც უფრო მყარ საძირკველზეა აგებული.

მაშ ასე, წარსულს გადავხედე და...

საქართველოში ტრადიციულად შვილების გაბედნიერებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მშობლები, ნათესავები. ისინი შვილებს თავიდანვე აჩვევდნენ ოჯახურ ზრუნვას. ვაჟმაც და გოგონამაც იცოდა, რომ ოჯახი უნდა შეექმნა, რომ ეს გარდაუვალი იყო მისთვის, რომ მისი შესაფერისი აუცილებლად მოიძებნებოდა და მართლაც, წინათ თითქმის იშვიათი იყო ვინმეს უცოლშვილოდ დარჩენა; ქალ-ვაჟის გაცნობა-დაახლოებაში ჩაებმებოდნენ მშობლები, ახლობლები, შუამავლები. ხდებოდა გაკითხვა როგორც ქალის, ისე ვაჟის მხრიდან. ამოწმებდნენ არამარტო მომავალი მეუღლის, არამედ მისი ოჯახის, წინაპრების ჯიშიანობას, პატიოსნებას, სიავკარგეს და ამის შემდეგ, თუ ორივე მხარე შესაფერისად მიიჩნევდა, საქმე კეთილად, ანუ ქორწილით გვირგვინდებოდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ გაცნობა-დაახლოებას სულ ცოტა 6 თვე მაინც სჭირდებოდა და როგორ გგონიათ, ასე შექმნილი ოჯახები მყარ საფუძველს იქნებოდა მოკლებული?

რაც შეეხება, შუამავალს, იგი ყველაზე მთავარ როლს ასრულებდა. შუამავალი იყო ოჯახის ახლობელი, მისი კეთილმოსურნე. იგი თავად შეურჩევდა ახლობლის ქალს ან ვაჟს — საბედოს და ამ საქმის დასაგვირგვინებლად უანგაროდ ილვწოდა, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე.

უფლება არა გვაქვს, წინაპართა ცხოვრებაში ჩამოყალიბებული ეს შესანიშნავი ინსტიტუტი დავივიწყოთ — არ უნდა დავიზაროთ სხვისი ბედნიერებისათვის დრო, თუმცა რა სხვისთვის, ჩვენივე ქალ-ვაჟებისთვის, რამეთუ ეს დრო ოჯახის შექმნას ხმარდება, რამეთუ იგი საქართველოს გაალონივრებს.

საქართველოში დასაქორწინებელ ახალგაზრდებს შველა უნდათ ახლობლების, მეზობლების, მეგობრების მხრივ.

კვლავ ვიმეორებ, შუამავლობა ახლა ძალზე საჭიროა, ეს იმას არ ნიშნავს, სიყვარულის წინააღმდეგი ვიყო, სიყვარულს წინ ვინ დაუდგება, მაგრამ როცა იგი იგვიანებს, ან საერთოდ არ ჩანს, დავეხმაროთ ახალგაზრდებს მის პოვნაში.

მანანა ზარიძე

## მსუსხავი სტრიქონები

# როდემდის?

ძვირფასო რედაქცია! ახლა ძალიან ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ, ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვისო. მაინტერესებს, რომელ კეთილდღეობაზეა ლაპარაკი იმ დროს, როცა ბავშვების დასაბანად ვერც ხელის, ვერც სარეცხის საპონი ვერსად ვერ მიშოვნია! ბავშვების თეთრეულს საერთოდ სარეცხის ფხვნილით არ ვრეცხავ, რადგან ვიცი, იგი ალერგიას იწვევს, ახლა არც სარეცხის ფხვნილია მაღაზიაში და მეშინია, ამ ისედაც მოწამლულ ატმოსფეროში, სიბინძურისაგან რაიმე ეპიდემია არ გაჩნდეს.

ვცხოვრობ კასპის რაიონში, სოფელ კავთისხევში. მყავს სამი მცირეწლოვანი შვილი. მინდოდა მეოთხე გამეჩინა, მაგრამ რითი გამოვკვებო? ჩვენთან მაღაზიაში ორი თვეა, რაც კარაქი და შაქარი არ შემოუტანიათ, თუ შემოიტანეს, სულზე თითო კილოგრამ შაქრის ფხვნილს გვაძლევენ, საზამთროდ ბავშვებისათვის მურაბის მოხარშვაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. არადა, მოზარდებს ზამთარშიც ხომ სჭირდებათ ვიტამინები. რომ მცოდნოდა, ასეთი ცხოვრება იქნებოდა, სამ შვილს გავაჩენდი კი არა, სულ არ გავთხოვდებოდი და ამ ბავშვების ცოდვას არ დავიდებდი კისერზე.

კიდევ მეორე სატკივარზე მინდა შემოგჩივლოთ. მთელი საქართველოს მაღაზიები რომ შემოიაროთ, ვერსად ნახავთ 56-58 ზომის მამაკაცის შარვალს, დიდი ზომის პერანგს და ქალის ხალათს. არც დიდი ზომის ფეხსაცმელია არსად.

საინტერესოა, ის წარმოება, რომელიც ამ სახის ნაწარმს უშვებს, ხომ არ ფიქრობს, რომ საქართველოში ბრგე ვაჟკაცები და დაშხვართული ქალიშვილები გადაშენდნენ?! ღმერთმა დაგვიფაროს!

ძვირფასო რედაქცია! იქნებ თქვენ მაინც მიპასუხოთ, როდემდის გაგრძელდება ასე?

ლ. თხინვალელი

# ვინ უნდა აფაროს საქართველოს წარჩინებულის სახელი

ჟურნალ-გაზეთები... აი სად იგრძნობა გარდაქმნის ძლიერი პულსაცია. კორესპონდენტები ვერ უთავდებიან ათეული წლების მანძილზე ხალხის ცნობიერებაში შავი ღრუბლებივით ჩაწოლილი უთქმელი სათქმელის გამოქვეყნებას. წერილებში ადამიანები ძველ მიჩქმალულ ამბებსაც ამჟღავნებენ და... საკუთარ თავსაც. რამდენი სათქმელი დაგვგროვებია! ყველა თავისებურად სჯის და ჭრის კიდევაც. ზოგს სინათლისაკენ მივყევართ, ზოგს კი...

მაგრამ რას გახდები, როცა ასეთთა ავტორობით შეთხზულ წერილებში დარღვეულია ქართველი ხალხის ისტორიული და კულტურული ცხოვრების სინამდვილე. დარღვეულია თვით ლოგიკა. საოცარია, საქართველოში ცხოვრობდე, ტომით ქართველი იყო, და მაინც, ისეთი გადმოსახედიდან იყურებოდე, რომ ძალიან დაშორდე, როგორც ობიექტური აზრის ჭეშმარიტებას, ასევე მშობლიურ ქვეყანას, შენს ხალხს. დიდი უბედურებაა საკუთარი ენის დაკარგვა! როგორც ეთნოგრაფიული მეცნიერება გვეუბნება, რომელიმე ეთნიკურ-ეროვნული კულტურის დაკარგვა, მშობლიურ ენასთან მთლიანობაში, იწვევს... სიკვდილს! სიკვდილთან ურთიერთობა ცრემლით და ვაებით ხდება მხოლოდ. მისი დათრგუნვა კი ერთადერთი გზით — ახალი სიცოცხლის დაბადებით, განახლებით!

ვინც ცდილობს საკუთარ ხალხთან საურთიერთო გზა მოიჭრას, ვისაც არ სურს დიალოგი გაიმართოს, ვისაც ჰგონია, რომ რაც მან დაინახა თავისი გადმოსახედიდან, ის არის ჭეშმარიტება, სხვა კი ყველაფერი სიცრუედ ჩაუთვლია, ვინც იყენებს მენტორული ტონით ჭკუის სწავლების მეთოდს, ვისაც სამშობლოს მომავლის კეთილდღეობაზე მზრუნველთათვის „ფანატიზმის გამჩაღებლები“ უწოდებია, ასეთს რა უნდა უთხრა, რა უნდა გააგებინო! ვგონებ ეს ის მომენტია, როცა „...თქმითაც დაშავდების“. მაგრამ თუ ვამბობთ, იმისთვის ვამბობთ, რომ ამ ავადობის მოვლენას, უფრო უარესს — კვდომას ჩვენივე ფესვისას, ნებსით თუ უნებლიეთ ჩვენც ხომ არ შევუწყვეთ ხელი, ჩვენ — ყველამ იქნებ ვინმემ გაკვირვებით იკითხოს: როგორო...

როგორ და ჯერ ერთი იმით, რომ საქართველო თავისი პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკური ნიშნებით ძირითადად თბილისში გავშალეთ. ქართული სულის ნაკვერჩხალს აქ დავუწყეთ საბერველით გაჩაღება. სირაქლემასავით თავი საფარში დავიგულეთ, ტანს კი შხამიანი სოკოები მოეძალნენ და ეს ვერ შევამჩნიეთ. ჩვენი სათაყვანებელი ქართული ქალაქები და სოფლები ენით თაყვანიცემულნი დაგვირჩნენ, საქმით კი... სად ქართულ სკოლებს გვიხურავდნენ, სად სამლოცველოებს გვინგრევდნენ, სად მამაპაპური სისხლით და ძვლებით გაპოხილ მიწაზე ვითომ სტუმრად მოსული სხვა ტომი და სხვა ხალხი ისე მოვამრავლეთ და გავაფოფინეთ, რომ აქეთ გვეკითხებიან ქედმაღლურად, ვინა ხართ და რა ხართ, ჩვენს სოფელს თქვენეული სახელი რატომ უნდა ერქვასო. ამ მხრივ არც თბილისსა და მის შემოგარენს დავაკელით ხელი. თბილისში ქართველი კაცის დასახლებდაკავება იყო უსაშველოდ ძნელი, თორემ სხვა ერის წარმომადგენლებს მწვანე შუქს ვუნთებდით რატომღაც...

გასულ საუკუნეში ილია მართლის, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა ნამოღვაწარით ავარდნილ ალს ეროვნული თვითშეგნებისას კვლავ ნაცარი მივაყარეთ, მათგან თელილ გზას გვერდი ავუქციეთ, ეშმაკს დავემონეთ და თვალახვეულნი უფსკრულისაკენ დავექანეთ...

მკვდარს რას ვუშველით, თორემ, ცოცხალთაგან მხოლოდ ახლა იღვიძებს ზოგიერთი და ხვდება, რომ ენის დაკარგვა გადაშენებაა, ალგვაა მიწისაგან პირისა. ენის მაცოცხლებელი ნიადაგი კი ეროვნული სკოლაა. ისიც ახლა გავიგეთ, თუ შენ არ ეცი პატივი საკუთარ ენას, თუ შენ არ ახმოვანე და არ ამოქმედე იგი, უძრაობით დაგიმდაბლდება. სხვა ახმიანდება, სხვა ამღერდება. სხვა შემოიტანს თავის ნერგებს და გაახარებს შენს მიწაზე. სხვისი ნერგებით სავსე მიწა კი შენი არ იქნება, იმ ნერგების ნაყოფს შენ არ მოგაწევინებს, თავად მოიწევს. შენს მიწაზე მოსულს შენივე ფესვითა და ნერგით უნდა დახვდე. შენივ მოწეული პური უნდა გაუტეხო, შენივ ენაზე უნდა ესაუბრო, სხვაგვარად თავს ვერ დაანახვებ. შენს სატკივარს, შენს ავსა და კარგს ვერ აგრძნობინებ.

ჩვენი ენა რომ გავაცანით, იმიტომაც ებრაელმა ხალხმა ღრმად შემოიხედა ჩვენს ისტორიასა და კულტურაში. ამით არც მათ წააუგიათ რამე, და არც ჩვენ. პირიქით, ორივენი გავმდიდრდით ერთმანეთის ძმობითა და სიყვარულით. ჩვენს შორის რომ შუამავალი რომელიმე სხვა ენა ყოფილიყო საურთიერთოდ, მაშინ საქართველოს სიყვარულით ასერიგად ამაღლებულნი ვერ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ

სანუკვარ სამშობლოს. ბარაქალა იმ კუთხის ქართველებსაც, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე ებრაელ ხალხთან ამაღლებული ურთიერთობით ასეთი უკვდავი სიყვარულის გრძნობა გამოძერწეს. უნდა ვთქვათ, რომ ორ ერს შორის ასეთი დიდი სიყვარული ქართულ სკოლაში აღიზარდა და განმტკიცდა.

იმის მიუხედავად, რომ ასეთი მისათითებელი, ისტორიული მაგალითი წინა გვაქვს, მაინც ხშირ შემთხვევაში საკუთარ სკოლას უგულებელვყოფთ, ხელოვნურ კურიოზებს ვქმნით. განა შეიძლება ადამიანს შენი ენა არ ესმოდეს და შენი ქვეყნის, შენი ერის მოქალაქედ, დამსახურებულ თუ ფრიადოსან მუშაკად ნათლავდე (თუ, რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებული გმირობა და თავგანწირვა არ ჩაიდინა შენივე ხალხის გადასარჩენად)?

საფრანგეთის მიწაზე რომ 100 ქართველს ქართული ვასწავლოთ, ფრანგულის კი არაფერი გაგვეგებოდეს, ამისათვის საფრანგეთის დამსახურებულ მოღვაწედ ვინ შეგვრაცხს? არ ვიცი, ეჭვი მეპარება...

უცხოელს, მაგალითად, რომელიმე ევროპელს, თუნდაც ამერიკელს, რომ წარვუდგინოთ მავანი და მავანი საქართველოს სახალხო განათლების ფრიადოსანი მუშაკიაო, უპირველესად იმას წარმოიდგენს, ეს ადამიანი საქართველოს კეთილისმყოფელია, ამ ერის შვილია, ან არადა მისი ისტორიისა და ბედიღბლის გულშემატკივარი მაინც... ყოველ შემთხვევაში შორს იქნება იმ აზრისაგან, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სახალხო განათლების ფრიადოსანი თუ დამსახურებული მუშაკი თავისივე დამაჯილდოებელი ხალხის აზრისა და სულისკვეთების მოწინააღმდეგედ მიიჩნიოს.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებულმა მუშაკმა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენა, წერა-კითხვა, საქართველოს ისტორია ისე უნდა იცოდეს, არ ეშლებოდეს იმერელი, კახელი, მეგრელი, მესხი თუ ფშავხევსური და ა. შ. ქართულს რომ ნიშნავს. თითოეულს ხომ თავისი დიალექტი და თითქმის სამი ათასი წლის წინანდელი ქართული მოდგმის ამ ტომობრივ გაერთიანებას უკვე თხუთმეტი საუკუნეა დიდი წინაპრების ძვლებით გაპოხილი წმიდათაწმიდა მიწა-წყლიანი სახელმწიფო აქვს, ერთიანი ენითა და უძველესი დამწერლობით გამაგრებული და განათლებული!..

გულნარა სტურუა

# მესხური ფოლკლორის მოამაგე

ახალციხის რაიონის ერთ-ერთ უძველეს მესხურ სოფელ მუსხში, აი, უკვე ხუთ წელიწადზე მეტია არსებობს ხანდაზმულთა ანსამბლი. ეს იდეა სოფლის კლუბის გამგეს მარიამ ჟუჟუნაძეს ეკუთვნის. ქალბატონი მარიამი, თურმე, სოფელში დადიოდა და დიდი მოთმინებითა და გულმოდგინებით არჩევდა ანსამბლის წევრებს, — იმ მოხუცებს, სიჭარმაგესთან ერთად ძირძველი მესხური ფოლკლორის სიყვარული რომ შემორჩენოდათ და ახლა დაუზარებლად გადასცემდნენ მომავალ თაობებს ამ ფასდაუდებელ განძს. ახალგაზრდებს შორის მათ შემცვლელებს დაკვირვებით არჩევდა დაწყებითი კლასების ახალგაზრდა მასწავლებელი ციალა მაისურაძეც, რომელიც ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. იგი იმთავითვე შეუდგა მესხური ფოლკლორის ნიმუშების — თქმულებების, სიმღერების, სატირისა და იუმორის, აფორიზმებისა და ანდაზების შეგროვებას. ეს მასალები ციალამ ხანდაზმულთა ანსამბლის შემქმნელს მარიამ ჟუჟუნაძეს გადასცა.

ანსამბლი ამ ოთხიოდე წლის წინ შეიქმნა. პირველი დიდი კონცერტი 3 საათს მიმდინარეობდა. საკონცერტო რეპერტუარში იყო ძველი მესხური სიმღერები, თქმულებები, ანდაზები, იუმორისტული სცენები. კონცერტი მუსხში ყველას ძლიერ მოეწონა. როგორც გამოირკვა მსმენელი ისე სერიოზულად დაინტერესებულა, რომ კონცერტის შემდეგ მუსხელები თავად მოდიოდნენ ჩვენთან და შემოჰქონდათ შენიშვნები, შესწორებები სიმღერების მელოდიებსა და ტექსტებში, თქმულებებსა თუ ანდაზა-ნაკვესებში...

გადავწყვიტე, სოფლის კულტურის სახლში ერთ-ერთ მეცადინეობას დავსწრებოდი. აი, მღერის ერთი ხანდაზმული. იგი მესხურ „ოროველას" ასრულებს და მისი ხმა ისე გაისმის, როგორც ბნელ ღამეში ურმის კოფოზე შემომჯდარი მეურმის კვნესა. მესხი ხანდაზმულები ზოგიერთ სიმღერასა და ცეკვას გუდასტვირის დახმარებით ასრულებენ. გუდასტვირს მეცხვარეები ადრეც და ახლაც ცხვრის მოსახმობად და მოსაზიდად იყენებენ. გაფანტული ცხვარი გუდასტვირის ხმაზე მწყემსის გარშემო გროვდება. ეს ძველისძველი საკრავი განსხვავდება რაჭული გუდასტვირისა და აჭარული ჭიბონისაგან.

აი ეს მოხუცები: პავლე ოქრომელიძე, ვასილ მელიქიძე, გიორგი ჯინჭველაძე, იასონ ოქრომელიძე და სხვები. ყველანი მეტისმეტი გულმოდგინებით, უშუალობითა და სიდარბაისლით ასრულებენ უძველეს სიმღერებს. მათ რეპერტუარშია მესხური „მრავალჟამიერი", „ოთხი წყარო დის,", „მუმლი მუხასა", „ოქრომჭედელო", —სამყრელი", „ოროველა": ანსამბლს დიდ დახმარებას უწევს ვალერიან მაღრაძის მიერ აღდგენილი სიმღერების კრებული „ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები".

ხანდაზმულები თავიანთ ცოდნას სოფლის ახალგაზრდობას გადასცემენ, ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ახლახან კიდევ ექვსი გოგონა და ორი ვაჟი შეემატა მათ შემცვლელებს. ემრავლოს მესხეთში ამ საშვილიშვილო საქმის, ხელიხელსაგოგმანები მარგალიტების შემგროვებლებსა და სულისჩამდგმელებს.

დონარა ზაზაძე,
ახალციხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დონის მონასტერი მოსკოვში

# ბაგრატიონთა ქალები

XVII საუკუნის დამლევს გარეშე მტრებისაგან დევნილი მეფე არჩილ II იძულებული გახდა რუსეთში გადასახლებულიყო და იქ ეძებნა ბედი. მან კარგი ურთიერთობისათვის უფროსი ვაჟი, 17 წლის ალექსანდრე, ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძის პირველი მეუღლის ნათესავზე, სოფიო მილოსლავსკაიაზე დააქორწინა. დედისერთა ქალიშვილს მზითევში მისცეს სოფელი ვსვესვიატსკოე, რომელიც მოსკოვიდან 7 კილომეტრით იყო დაშორებული (ამჟამად მეტრო „სოკოლის" უბანი). სოფიო და მისი მშობლები ადრე გარდაიცვალნენ და პეტრე პირველმა ეს სოფელი მამულებითა და გლეხებით ალექსანდრეს დაუმტკიცა. საუკუნის დამლევს იქ დასახლდა არჩილი თავისი ოჯახით.

ალექსანდრეს უმცროსი ძმები მამუკა და დავითი, ისევე როგორც მისი პირველი და მეორე მეუღლეც, ადრევე გარდაიცვალნენ და არჩილმა ნოვოდევიჩის მონასტერში დაკრძალა. ხოლო თვით, რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელცეიხმაისტერი ალექსანდრე 1711 წელს შვედების ტყვეობაში 10 წლის ყოფნის შემდეგ რუსეთში მომავალი ქალაქ პიტეოში გარდაიცვალა. არჩილმა და პეტრემ იგი მოსკოვში გადმოასვენეს და დონის მონასტერში დაკრძალეს. ქართველმა მეფემ ნოვოდევიჩის მონასტრიდან იქვე გადმოასვენა თავისი ორი ვაჟი ცოლებიანად. 1712 წელს ეს ადგილი არჩილმა აკურთხებინა და მას მირქმის ეკლესია უწოდა.

1713 წელს დონის მონასტერში დაკრძალეს თვით არჩილიც, 6 წლის შემდეგ — მისი მეუღლე ელენე. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართველ სამეფო საგვარეულოს — ბაგრატიონთა სავანეს, რომლის მსგავსი თვით საქართველოშიც არ გაგვაჩნია. იქვე განისვენებს მეფე ვახტანგ VI-ის მთელი შთამომავლობა.

არჩილს ერთადერთი ქალიშვილი დარეჯანი დარჩა. სიკვდილის წინ ქართველმა მეფემ ანდერძი დაუტოვა იმპერატორს, სთხოვა ყურადღება მიექცია მისი ასულისათვის და ბოლოს დასძინა: „ჩემი ვაჟიშვილებით იმედი მქონდა აღმედგინა ჩვენი სამეფო საგვარეულო, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ივერიისა და სხვა მიწებს ფლობდა, ღმერთმა ეს არ ინება, მაგრამ დამიტოვა ქალიშვილი, რომლითაც შეიძლება ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენა, თუ კი დარეჯანის კანონიერი ქორწინებისათვის შესაფერისი პიროვნება აღმოჩნდება. წარსულში ჩვენი სამეფო ტახტი ამგვარად ორჯერ აღსდგა. ეს მიღებულია და კანონიერია აზიასა და ევროპაში". დარეჯანი მაინც გაუთხოვარი დარჩა. მკვლევარ ს. დიანინის სიტყვებით „პეტრე მეტად უსიამოვნოდ შეხვდა ქართველი მეფის სურვილს, რომ ივერიის სამეფო საგვარეულო დარეჯანის შტოთი გაგრძელებულიყო, რადგან იგი თავისთავს თვლიდა ივერიის ტახტის მემკვიდრედ", ისევე, როგორც სხვა რუსი ხელმწიფეები, რადგან 1587 წლის ხელშეკრულებით საქართველოს ისინი თავიანთ ხელდებულად თვლიდნენ და ტიტულატურაშიც მოიხსენიებდნენ.

მამისა და ოჯახის წევრთა გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვის ქართულ კოლონიას სათავეში ჩაუდგა 50 წელიწადს მიტანებული დარეჯანი. მან დიდი ამაგი დასდო დონის მონასტერს, რომელიც პეტრე I ჯერ კიდევ 1705 წელს მოსკოველ ქართველებს გადასცა.

1729 წელს დარეჯანმა დონის მონასტერს მიუშენა საკურთხეველი და გააფართოვა ტაბლა. 1738 წელს დიდი ტაძრის ახალი სახურავისათვის შესწირა 2000 მანეთი ოქრო.

მოხუცებულობის ჟამს, როდესაც დარეჯანს სიშორის გამო სალოცავად დონის მონასტერში სიარული აღარ შეეძლო, თვით ვსესვიატსკოეში ძველი პატარა ეკლესიის ადგილას, 1733-1736 წლებში, ახალი ტაძარი ააგო. იქ 1900 წლამდე ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა.

დარეჯანი, რომელიც იმ დროს, არაოფიციალურად რუსეთში ქართველი ელჩის როლში გამოდიოდა, კეთილურთიერთობას ინარჩუნებდა მისი ძმის მეგობართან, რუსეთის იმპერატორთან. პეტრეც დიდ პატივს სცემდა მას. დარეჯანის მეშვეობით პეტრე პირველმა ურთიერთობა დაამყარა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსესთან. ისინი შეთანხმდნენ, ირანზე ერთიანი ძალით გაელაშქრათ.

1722 წლის 30 იანვარს პეტრე მხედრიონით მოსკოვს ჩავიდა. ვსესვიატსკოესთან იგი შეჩერდა და არტილერიის სალუტის ხმაძ ქალაქს შვედებზე გამარჯვება აუწყა. აქ დარეჯანის სასახლეში ასწია მეფემ შვედებზე გამარჯვების პირველი სადღეგრძელო, ხოლო შემდეგ თავისი მეგობრის — ალექსანდრე ბაგრატიონის შესანდობარი შესვა.

მოსკოვიდან პეტრე სამხრეთისაკენ დაიძრა — ირანზე სალაშქროდ, აიღო დარუბანდი და, შეთანხმების თანახმად, განჯასთან ვახტანგ VI უნდა შეხვედროდა, რომელიც 40 ათასიანი მეომრით ელოდებოდა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ლაშქრობა ჩაიშალა. ვახტანგი იძულებული იყო თბილისში დაბრუნებულიყო. ქართველი მეფე ირანის შაჰმა მოღალატედ მიიჩნია და თბილისი ააოხრა. დრო იხელთეს ოსმალებმა და შინაურმა მტრებმაც და მეფეს განუდგნენ.

ვახტანგ VI იძულებული გახდა 1200-კაციანი ამალით რუსეთს გამგზავრებულიყო, რადგან პეტრეს დახმარების იმედი ჰქონდა.

1724 წლის 10 მარტს ვახტანგ VI მოსკოვს ჩავიდა. მეტად საზეიმო, ამაღელვებელი იყო მისი შეხვედრა დიდი ხნის უნახავ ნათესავთან დარეჯანთან. შემდეგ ის პეტერბურგს გაემგზავრა, მაგრამ პეტრე უკვე გარდაცვლილი დახვდა და ეკატერინე I-ის სამეფო კარზე გადაწყდა ქართველი მეფის ამალის დასახლება მოსკოვში — პრესნიაზე, რომელიც მაშინ ქალაქის გარეუბანი იყო.

1737 წელს ვახტანგ VI გარდაიცვალა და ასტრახანში დაკრძალეს. 1740 წელს დარეჯანიც გარდაიცვალა. იგი დედ-მამის გვერდით განისვენებს დონის მონასტერში.

ვახტანგ მეფის რამდენიმე შვილთაგან, რომლებიც რუსეთში გრუზინსკებად იწოდებოდნენ, ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ბაქარი და გიორგი, რადგანაც მათი შვილიშვილები ორივე ანა გრუზინსკაია-გოლიცინა და დარეჯანი საკმაოდ ცნობილი პიროვნებები იყვნენ მოსკოვის ქართველთა კოლონიაში.

ერთ-ერთი მათგანი ანა ალექსანდრეს ასული (1761-1842) იყო, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის ბიძაშვილთან, რუსეთის არმიის სახელოვან სარდალთან პეტრე ბაგრატიონთან. ცნობილია, რომ 1782 წელს 17 წლის პეტრე პეტერბურგში ეწვია თავის ნათესავს ანა გრუზინსკაია-ბაგრატიონს, მაგრამ, კონკრეტულად ვინ იყო ანა პეტრესათვის გაურკვეველი რჩებოდა.

პეტრე ბაგრატიონზე არსებულ მხატვრულ, პოპულარულ თუ მემორიალურ ლიტერატურაში, ასევე კინოფილმ „პეტრე ბაგრატიონში" ანა გრუზინსკაია გამოცხადებულია პეტრეს მამიდად და თითქოს იგი 1782 წელს გოლიცინა ყოფილიყოს, ფაქტობრივად არც ერთია სწორი და არც მეორე.

ვინ იყო ანა პეტრესათვის? იგი იყო ვახტანგ მეფის შვილის ბაქარის შვილიშვილი (ალექსანდრეს ასული), ხოლო პეტრე გახლდათ ვახტანგის ძმის იესეს შვილის — ალექსანდრეს შვილიშვილი ივანეს ძე). ამრიგად ძმის შვილების შთამომავლები ბიძათაშვილები ყოფილან და გამორიცხულია, რომ ანა პეტრეს მამიდა ყოფილიყო.

ახლა ვნახოთ 1782 წელს ანა გრუზინსკაია იყო თუ არა გოლიცინა? როდესაც აღნიშნულ წელს პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგში ჩავიდა, ანა იყო პოლკოვნიკ დელიცინის მეუღლე. რომელიც დაიღუპა 1789 წელს ოჩაკოვზე იერიშის დროს, რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომში. 1794 წელს ეს ლამაზი და ჭკვიანი ქალი, დელიცინის უკანონო მამამ, ალექსანდრე ბორისის ძე გოლიცინმა მიათხოვა თავის ნათესავს ბორის ალექსის ძე გოლიცინს. ე. ი. 1782 წელს ანა არ შეიძლებოდა გოლიცინა ყოფილიყო. დროა ამ გაუგებრობას საბოლოოდ მოეღოს ბოლო. ყოველივე ამის შესახებ ჯერ კიდევ 1982 წელს გამოთქვა აზრი ნ. ტარსაიძემ (ეტიუდები გვ. 38). იმავე საკითხზე ჩვენც სპეციალურად გავამახვილეთ ყურადღება ნაშრომში „პეტრე ბაგრატიონი" (1986 წ.).

1794 წლიდან, გოლიცინზე გათხოვების შემდეგ ანა გრუზინსკაია მაღალ წრეებსა და სასახლის კარს დაუკავშირდა. სილამაზით გამორჩეული ქალი, თავისი განათლებითა და ნიჭით ყველგან ყურადღებას იპყრობდა; როგორც ჩანს, იგი საკმაოდ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეც ყოფილა, რისთვისაც წმ. ეკატერინეს ორდენით დაუჯილდოვებიათ.

ალექსანდრე ბაქარის ძის მეორე ქალიშვილი — დარეჯანი სამოქალაქო საქმეთა ნამდვილი მრჩევლის პეტრე ალექსანდრეს ძე ტრუბეცკოის მეუღლე იყო. მათ ოთხი ვაჟი ჰყავდათ. ერთი მათგანი — უფროსი, სერგო პეტრეს ძე დეკაბრისტთა ლიდერი გახდა... საყურადღებოა, რომ დარეჯანის შვილებმა საუკეთესოდ იცოდნენ ქართული ენა, რადგან ქართულ წრეში იზრდებოდნენ.

რაც შეეხება მეორე ანა გრუზინსკაია-გოლიცინას, იგი იყო ვახტანგ მეფის უმცროსი ვაჟის გიორგის ასული. გიორგის ორი ვაჟი ადრევე გარდაეცვალა. 1770 წელს 16 წლის ანა მიათხოვეს გენერალ-მაიორს, წმ. ანას ორდენის კავალერს ალექსანდრე ანდრიას ძე გოლიცინს. გიორგის ეს ერთადერთი იმედი სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა გარდაიცვალა. ასე რომ, 1782 წელს ის ცოცხალი აღარ იყო და ბუნებრივია, პეტერბურგში პეტრე ბაგრატიონს ვერ მიიღებდა.

მესამე ანა გრუზინსკაია-გოლიცინა კი არ ყოფილა. ე. ი. ერთხელ კიდევ ცხადი ხდება, რომ 1782 წელს პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგში მიიღო მისმა ბიძათაშვილმა და არა მამიდამ, ანა ალექსანდრეს ასულმა გრუზინსკაია-გოლიცინამ.

ანა გიორგის ასულს, ადრე გარდაცვალების მიუხედავად, სამი ქალიშვილი დარჩა, რომლებიც შემდეგ მაღალი წრის წარმომადგენლებზე დათხოვდნენ. მათი შვილები 1793 წლამდე პაპასთან — ბატონიშვილ გიორგისთან ცხოვრობდნენ მოსკოვში, შემდეგ კი ეკატერინე II-ის ბრძანებით პეტერბურგში გადასახლდნენ. ანას ერთ-ერთი ქალიშვილი — მარიამი მისთხოვდა პეტრე ბაგრატიონის მეგობარს, იმპერატრიცას ერთ-ერთ ფავორიტს ალექსი ტოლსტოის.

ასეთია ის მოკლე ცნობები, რომლებიც მოსკოვის ქართული კოლონიის ბაგრატიონთა ქალებზე შემოგვინახა ისტორიამ.

შამშე მებრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია

## ჭიაკოკონა

ფითრის კალთაზე ვეგუები წლების დინებას,
ღრმა ნაპრალებში ჩაიჩხნენ ცეცხლის ალები,
მაგრამ ხანდახან გულში მწარედ რად
მეცინება
და გამუდმებით რად მიჭირავს გზისკენ
თვალები?!

განელებულა რახანია სიცოცხლის თონე,
სუნთქვას უმძიმებს ფერად სიზმრებს ღამის
საკანი,
უკანასკნელი სად დავკარგე ნეტავი ღონე,
დავრჩი ბეღურა ქარის ფრთებით შინ
წასაყვანი.

იქნებ არცა ღირს, ერთი მუჭა იების კონა
თვალს ვანაცვალო და ჩემს ხელში დაჭკნეს
წამებით,
მე გუშინ განგებ არ დავანთე ჭიაკოკონა,
არ დამფენოდა მოსასხამზე ცის ნამწვავები.

* * *

ვინ დამჩრდილავდა ბედის ნებიერს,
მენთო ცისფერი ღელის ნაპირი,
ეხატებოდა გულზე ზეფირებს
მხოლოდ სინათლე ლურჯი აპრილის.

და მომყვებოდა სიტყვა ზეპირი:
ჰქონდა თავისი ზღურბლი და დირე
ტაძარს, რომელსაც რწმენას შევპირდი
და ვერ ავუნთე სანთელი მცირე.

მავსებდა უხმო სიმღერა ბნელში
და თენებისას დუელი ფერთა,
მარგალიტებით ავსილი პეშვი
სიზმრის მირაჟებს მიმოაფენდა.

ვინ გამწირავდა ბედის ნებიერს,
მენთო ცისფერი ღელის ნაპირი,
ეხატებოდა გულზე ზეფირებს
მხოლოდ სინათლე ლურჯი აპრილის.

დარეჯან ბატიაშვილი

## სამშობლოს იავნანა

მამა უფალთან მოხვდნენო,
ანგელოზებსა ჰგვანან,
ჩაუცვამთ თეთრი სამოსი,
ფაფუკი, სიფრიფანა.
გულში ჩაუკრავთ სათუთად,
ქართული ანა-ბანა,
ტკბილად სძინავთო დაღლილებს
ნანა... შვილებო, ნანა...
ნაკურთხი წყალით სამშობლომ,
ჭრილობა ჩამობანა,
საბანს ახურავს, უმღერის,
იავნანაო, ნანა...
იძინეთ, დალოცვილებო,
ნანა... შვილებო, ნანა.

იამზე ნაცვლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქულინარია

„საქართველოს ქალის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ ჩვენი ჟურნალი ახლაბედა დიასახლისებს სისტემატურად აწვდის სხვადასხვა კერძების, მარინადების, მურაბებისა და ნამცხვრების რეცეპტებს.

რედაქცია უამრავ წერილს ღებულობს მკითხველებისაგან. ზოგი დიასახლისი თავად გვთავაზობს რეცეპტებს, ზოგი მადლობის ბარათს გვწერს, ზოგი ითხოვს მივაწოდოთ მისთვის სასურველი კერძების თუ ნამცხვრების რეცეპტები, რომლებიც წინა წლებში დაიბეჭდა ჟურნალში, მაგრამ რადგან გვთხოვენ, ჩვენც განმეორებით ვთავაზობთ მათი მომზადების წესს.

სულ ახლახან, ერთერთმა დიასახლისმა (ც. ნ-მ), სრულიად განსხვავებული წერილი მოგვწერა. იგი ძალიან რბილად გვსაყვედურობს, სულ ნაირნაირი ძვირფასი კერძების და ნამცხვრების რეცეპტებს რომ გვთავაზობთ, მოგვაწოდეთ ისეთებიც, ხელმოკლე ადამიანს რომ გამოადგებაო.

...და მართლაც, ხომ შეიძლება ადამიანს ხელმოკლეობით თუ სხვა მიზეზით არ ჰქონდეს ყველა ის პროდუქტი, რომლითაც რომელიმე ნოყიერ კერძს მოამზადებდა.

რედაქციამ გულთან მიიტანა ქალბატონ ც. ნ-ს (იგი ბოდიშს გვიხდის, სახელს და გვარს ვერ გიმხელთო) წინადადება, რისთვისაც მადლობას ვუხდით და ყველა სხვა დიასახლისთან ერთად (ვისაც კი დასჭირდება) ვთავაზობთ რამდენიმე მარტივი კერძის მომზადების წესს, რომელსაც დავარქვით სახელდახელო კერძები „არაფრისაგან“.

## უხორცო წვენი (სუპი)

100 გრამი წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ას გრამ ცხიმში. დაუმატეთ 2-3 ცალი კანგაცლილი, გახეხილი პამიდორი (ან 1 სუფრის კოვზი ტომატი-პასტა, ან 1 ჭიქა პამიდვრის საწებელა (საწებელას ან ტომატს 2-3 წუთის მოშუშვა ყოფნის, რათა ცხიმი გააწითლოს) და განაგრძეთ მოშუშვა 10 წუთის განმავლობაში; შემდეგ დაასხით 1 ლიტრი წყალი, ჩაყარეთ მასში 4-5 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი (დაჭრილი), ადუღებიდან 5-6 წუთის შემდეგ დაუმატეთ მცირეოდენი მაკარონი, ვერმიშელი ან ბრინჯი, თუ არცერთი პროდუქტი არ აღმოგაჩნდათ, შეგიძლიათ ამოუკიდოთ საფანელი (1 სუფრის კოვზი ფქვილი). ახალი მწვანილი (ოხრახუში, ნიახური, ქამა) ხმელი სუნელი ან დაფნის ფოთოლი და სურნელოვანი პილპილი — ყველაფერი უხდება ამ წვენს. თქვენ რაც აღმოგაჩნდეთ, იმით შეაზავეთ. ნიორი და მარილიც, რა თქმა უნდა, თქვენი გემოვნებით უყავით.

## უხორცო საწებელა (სოუსი)

150 გრამი წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ 100-150 გრამ ცხიმში, დაუმატეთ 500 გრამი კანგაცლილი და წვრილად დაჭრილი, ან დაჭყლეტილი პამიდორი (გნებავთ 2 სუფრის კოვზი ტომატი-პასტა ან ჩაის ჭიქა ნახევარი პამიდვრის საწებელა) და მოშუშეთ ისევე, როგორც წვნიანისათვის, შემდეგ დაუმატეთ 700-800 გრამი დაჭრილი კარტოფილი, დაფარეთ წყლით და 10 წუთის დუღილის შემდეგ, სრულ მოხარშვამდე შეაზავეთ მარილით, რათა არ ჩაიშალოს კარტოფილი და სასიამოვნოდ გამოიყურებოდეს სოუსი. ამ კერძს ძალიან უხდება ოხრახუში და რეჰანი, რაც, ყოველთვის შეიძლება გქონდეთ, თუ დაჭრილს და ჩრდილში გამხმარს შეინახავთ თავდახურულ ქილაში. მარილი და ნიორი უყავით თქვენი გემოვნებით.

თუ მხოლოდ კარტოფილი, ხახვი და ცხიმი გაქვთ და ძალიან გნებავთ ცხელი წვენი — შეგიძლიათ მოშუშოთ ხახვი, დაასხათ წყალი, ჩაყაროთ კარტოფილი და ისე მოხარშოთ, რომ ჩაიშალოს და მთლად გაიქნას. შემდეგ შეაზავეთ მარილით და როდესაც წვენს მათლაფაზე დაისხამთ, მაშინ ჩაუმატეთ დანაყილი ნიორი (როგორც ხაშს), რაც ძალიან უხდება, ბოლოს კიდევ ერთი რჩევა! მოხრაკულ კარტოფილს ან შემწვარ კარტოფილს გადაავლეთ ნიორწყალი და იგემეთ. იქნებ გესიამოვნოთ.

ძვირფასო დიასახლისებო, ჟურნალის მომდევნო ნომრებში ცოტა რთულად მოსამზადებელ კერძებთან ერთად შემოგთავაზებთ ხოლმე „არაფრისაგან“ ანუ ადვილად მოსამზადებელ კერძებსაც.

## „დღე და ღამე“

მასალა პირველი ბისკვიტის ანუ „დღისათვის“:

3 კვერცხი, 1 ჩაის ჭიქა არაჟანი, ნახევარი ქილა შედედებული რძე, სოდა ნახევარი ჩაის კოვზი (ძმარში გახსნილი), ვანილი გემოვნებით, ერთნახევარი ჩაის ჭიქა ფქვილი.

მოამზადეთ გოგლი-მოგლი, შეურიეთ არაჟანი და ასე თანდათანობით ყველა ზემოთჩამოთვლილი მასალა. მიღებული მასა მოათავსეთ ცხიმწასმულ ყალიბში, შედგით გაზქურაში (ნაზ ცეცხლზე) და გამოაცხვეთ. ვიდრე გამოცხვება, მოამზადეთ მეორე ბისკვიტის ანუ „ღამის“ ცომი, რისთვისაც საჭიროა ყველა ჩამოთვლილ მასალას დაუმატოთ 3-4 სუფრის კოვზი კაკაო და გამოაცხოთ ისევე, როგორც პირველი ცომი.

გაცივებული ბისკვიტები გაჭერით შუაზე, თითოეულს თანაბრად წაუსვით კრემი და შენაცვლებით (შავი, თეთრი, შავი, თეთრი), დააწყვეთ ერთმანეთზე და მორთეთ თქვენი გემოვნებით (შოკოლადით, ნიგვზით, ბისკვიტის გვერდებიდან ჩამოჭრილი ნაფხვენებით).

### მასალა კრემისათვის

4 კვერცხის გული, 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ჩაის ჭიქა გაცრილი ფქვილი, 1 ლიტრა ადუღებული ცივი რძე, ვანილი, 200 გრამი კარაქი.

### მომზადების წესი:

გოგლი-მოგლს თანდათან შეურიეთ ფქვილი, გახსენით კარგად ცივ რძეში, შედგით ნაზ ცეცხლზე და კოვზის მუდმივი მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე. ადუღებიდან 2-3 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან, გააცივეთ ასევე მუდმივი მორევით (რათა კრემმა თავზე უხეში კანი არ გაიკეთოს), ცივ კრემში შეურიეთ შერბილებული კარაქი, ვანილი და ათქვიფეთ მიქსერით.

ე. ძიძიშური

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.10.89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.11.89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 173.000. შეკვ. 2199. უე 04730. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.

# ᲔᲠᲗᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ—ᲣᲐᲠᲘ!

„მშვიდობით, რუტინა!" — ასე უწოდა თავის ერთ-ერთ ახალ ნამუშევარს 28 წლის კანადელმა მემოდელემ პოლ ლანგილმა. ესოდენ უჩვეულო სახელწოდება გამოხატავს ოსტატის სურვილს, თავი დააღწიოს მოწყენილობას, ერთფეროვნებას, ჩვეულებრივობას და ქალს შესთავაზოს ფანტაზიისა და სილამაზის სამყარო.

პოლ ლანგილი მხოლოდ მემოდელე როდია. იგი გამოცდილი კოსმეტოლოგი და შესანიშნავი გრიმიორია. მისი რჩევები ქმედითი, სადა, ხელმისაწვდომია და ესატყვისება მოდის თანამედროვე, სადღეისო მიმართულებებს.

— თავის გარეგნობის მიმართ ქალი მუდამ უნდა იჩენდეს შემოქმედებითს ცნობისმოყვარეობას, ინტერესს, — ამბობს პოლი, — აუცილებელია ქალმა იცოდეს კლასიკის შეხამება მოდურთან და რამდენადმე ექსტრავაგანტურ ელემენტებთან. მას არ უნდა ეშინოდეს სრულიად დაგმოს თავისი ძველი მიდრეკილება და მტკიცე ჩვევა, რადგან ქალს არაფერი ისე არ აბერებს, როგორც კონსერვატიზმი. გაბედეთ, ერთ მშვენიერ დღეს რადიკალურად შეიცვალოთ გარეგნობა და ნახავთ, რომ თქვენი გამბედაობა გამოიღებს კეთილ შედეგს — მიიპყრობთ ნაცნობისა და უცნობის ყურადღებას, მოეწონებით ყველას, ახლებურად შეგხედავთ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, თქვენ კი დაგებადებათ საკუთარი ძალებისადმი რწმენა. მშვიდობით, რუტინა, — ასკვნის პოლ ლანგილი.

**სურათზე:** ხელოვნური ყვავილებით მორთული, ცნობილი „ცხენის კუდის" საფუძველზე გაკეთებული უჩვეულო ვარცხნილობა, ერთი შეხედვით გამოიყურება, როგორც კოპწია შლაპა. ვარცხნილობა სრულად ცვლის ახალგაზრდა ქალის სახეს, მას უფრო მიმზიდველს, ელეგანტურს, ლამაზსა და იდუმალებით სავსეს ხდის.



ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘᲚᲝᲑᲐ

641/155

ინდექსი 76178






ფასი 30 კაპ.